

# შინაური საქმეები.

ყოველ-კვირული გაზეთი

№ 27-28.

შასი ერთი შაური

წლიური შასი 4 მან.

წელიწადი შეეძება.

კვირა, 13 ოქტომბერი 1913 წელი

## რედაქციისგან.

ამ ნომრიდან გაზეთი აღარ გუგზავნება ფულის შემოუტანლობის გამო გურიის-სამეგრელოს ეპარქიის იმ საბლადლოჩინოების სამღვდლოებს, რომელთაც ფული ან სულ არ შემოუტანიათ ან ნაწილი შემოიტანეს. მოუქდავად სამღვდლოების კრების დადგენილების დღემდე ფული სრულიად გამოუგვიზავნა კრომა გურიის ბლადლოჩინო და ოთხმა სამეგრელოსამ. ნაწილი — ერთმა გურიისამ და სამმა მეგრელისამ.

**შინაური:** 1. ჩვენი არეულობა, სიტყვა ანჩატობა დღეს, 16 აგვისტოს 1913 წ. — დეკ. 6. თალაკვაძე; 2. პრესა და სამღვდლოება; 3. პრესა და სარწმუნოება — ხელი; 4. ქუთათური პრესა და სარწმუნოება — ხელი; 5. ჩვენი საერო პრესა და ილია ქაქავაძის ვერაგული სიკვდილი — მღ. ს. კუმბურძე; 6. სიტყვა განაზღვრულ ეკლესიის კურთხევის დროს სოფ. ზანაში; 7. მგონის კენესა (დექსი) — სვე. სველიშვილი; 8. ყოველკვირეული პროვინციელისა — კ. გმელი; 9. ათონელი ბერების საქმე; 10. ეპის. ნიკონი ძველ ათონზე; 11. სინოდის ბიუჯეტის განხილვის შედეგი; 12. იაპონლების ზნეობრივი სიფაქიზე; 13. მოწერილი ამბები: ა. წერილი კლდეეთიდან — ზესტაფანელი, ბ. წერილი სამეგრელოდან — ვეჩე ზუგდიდელი, გ. სოფ. ზუგდიდის-კახათი, დ. სოფ. ჯუნჯვათი — ა. ჯუნჯვათელი. 14. ღეთისმშობლის მრეწველობა — ერი; 15. იმერეთის სამრევლო შკოლების ავ-კარგი — „მასწავლებლობა“. 16. პასუხად გაზ. „განთიადის“ მექრონიკეს — მღ. ისიდორე ეორჯოლიანი.

სიტყვა ანჩისხატობა დღეს, 16 აგვისტოს 1913 წ.

გუშინ დიდის სასოებით და გულსმოღვინებით აღვასრულეთ ყოველადწმინდა ღეთისმშობლის მიძინების დღესასწაული!

ოთხმეტი დღის მარხვა-მოთმინებით, ლოცვა-ვედრებით, აღსარებით და წმინდა საიდუმლო ზიარების მიღებით ვეშხადებოდით მორწმუნეთა ზეციურ დედუფლის სასწაულებრივ მიძინების თაყვანის საცემლად.

უსაკუთრესი მფარველია ჩვენი ყოველადწმინდა ღეთისმშობელი! ჩვენი სამშობლო მისი წილ-ხლომილია. ამისი წინდოც ხელთ გვიპყრია. ეს წინდია ჯვარი ვაზისა, რომელიც თვით ღეთისმშობლის ხელთაგან ებოძა ჩვენს განმანათლებელ დედას, წმინდა ნინოს. ეს ფასდაუ-



ღებელი საქრისტიანო განძი გვისვენია ჩვენს უძველეს სახელოვან სიონის ტაძარში, რომელსაც ღვთისმშობლის ეგზომ ძვირფას საჩუქრის აღსანიშნავად თვის ყოველწლიურ ღდესასწაულად მისი მიძინება დაუდვია. დღეს კი აქ, — სიონის შემდეგ უძველეს ტაძარში, — უმხიარულესად განვაგრძობთ გუშინდელ ღდესასწაულს, „რამეთუ ხატი ხელთუქმნელი მისგან შობილისა ღვთისა წინაშე ჩვენსა მდებარე არს და შობილსა მას მშობელისათანა სარწმუნოებით ვადიდებთ“.

ჯვარი ვაზისა საკუთრად ქართველთ სასოების გამოშხატველია. ჯვარი ვაზისა ეგ უტყუარი მოწამეა, რომ ჩვენ ღვთისმშობლის წილხლომილი ვართ, მისგან ნაკურთხნი, მის დღობრივ მზრუნველობის ქვეშე მყოფნი. და რომ ეს აგრეა, იქილგანაც მტკიცდება, რომ ჩვენი ქვეყანა ღირს იქნა ამის ვარდა მიელო მთელ მსოფლიოს უდიდესი საქრისტიანო სიწმინდე, ხელთუქმნელი პირი ღვთისა, სასწაულებრივ თვით მაცხოვრისაგან ტილოზე აღბეჭდილი ედესიის მთაერის ავგაროზისათვის. ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა ინება, რათა ეს სიწმინდე ჩვენში იყოს დატული. მეჩვიდმეტე საუკუნეში ხატი ესე — პირი ღვთისა — ქოროზის ხეობაში ყოფილა ანჩის საეპისკოპოსოდან, ოდეს ეს მხარე შემუსვრილ იქნა მაჰმადიანთაგან, — გადმოასვენეს აქ, ამ მეშვიდე საუკუნის ტაძარში, რომელსაც ეწოდების მას შემდეგ ამ ხატისავე სახელი — ანჩის ხატის საყდარი.

ამ ხატის გადმოსვენება აქ მოხდა 16 მარიაშობისთვის, მიძინების მეორე დღეს, ამიტომ ჩვენი ეკლესია იღვრთოვანებულ საგალობლებით მოგვიწოდებს ვიდღესასწაულოთ ესევეთარი დიდება და მოწუალება ღვთისა ჩვენდამი: „ლიტანიობდით და გალობდით, აქებდით და ადიდებდით ყოველი სული და ყოველი დაბადებული, ყოყლისა სოფლისა მხსნელსა და მფარველსა საშინელსა ანჩის ხატსა, რომელსა უღალადებენ კლარჯეთისანი, იერაპოლით მოვიდა ხატი ესე საწმინელი! ჩვენ მოსავთა მისთა მოგვანიჭებს კიდევთა შენდობასა და დიდსა

წყალობასა“ „იღვიტყველეთ ხელნი, ქართველნო, უგალობდეთ მეუფესა ჩვენსა ღმერთსა, უგალობდეთ დღეს შემოსელსა წმიდისა და უზრუნელისა ხატისა მისისა, რომელი მოგვენიჭა წამის ყოფითა ზეგარდმოთა!“

ასე მოგვიხმობს მშობელი ეკლესია თვისს სამწყსოს და ჩვენც დღეს შევკრებილვართ აქ და ედღესასწაულობთ მთელ საქრისტიანოს უდიდეს სიწმინდის ჩვენს დედა ქალაქში გადმოსვენებას!

ცხადია, საყვარელნო, ჩვენი წინაპარნი ღირსნი ყოფილან ამ სიწმინდის ტვირთისა, მის პატივისცემისა, მის მოვლა-პატრონობისა. ცხადია ჩვენი სულმნათი წინაპარნი თვის მტკიცე, შეურყვეველ სარწმუნოებით, ქვეშაირტ ქრისტიანულ ღვთის სათნო ცხოვრებით, მოიწოდებდენ განმაცხოველებელ მადლსა ღვთისა და მთელ ჩვენს პატარა სამშობლოზე. მხოლოდ ღვთის ძალით და მადლით აიხსნება ის განსაცვიფრებელი, ყველასაგან უკვე სასწაულად აღიარებული გარემოება, რომ ერთმა მუქა ქართველობამ შესძლო აურაცხელ მტერთა გამკლავება, ქრისტეს ზეციურ სწავლა-მოძღვრების და სარწმუნოების შენარჩუნება! სისხლისაგან დაიცალა ქართველი ერი სარწმუნოებისათვის შეუწყვეტელ ბრძოლაში... სარწმუნოებას ანაცვალა მან ყველაფერი. სარწმუნოებაში დასახა მან თვისი ისტორიული ყოფნა-არყოფნის საკითხი და მოწამებრივ სისხლში განბანილი ქართველი ერი გადავიდა ახალ ხანაში, ცხოვრების ახალ პირობებში...

მადლობა ღმერთს, დღეს აღარავინ გვღვინის სარწმუნოებისათვის!

მადლობა ღმერთს, გარეშე მტერთაგან; უსჯულოთაგან უზრუნველ ყოფილი ვართ! ამიტომ გვაქვს მოკალეობა და საშვალუბაც მივეცეთ მშვიდობიან მოქალაქობას. შეგვიძლია ვიზრუნოთ სამშობლო ქვეყნის განუითარებისთვის, მის სულიერ თუ ნივთიერ წინსვლულობისა, წარმატებისა და კეთილდღეობისათვის! თითქოს სწარმოებენ კიდევ ასეთი მუშაობა ჩვენში! ბევრი რამ ვის კლეთ ქართველობამ ამ უკანასკნელ დროს ვბაძეთ მშვიდობისადა-

გვარად განათლებულ ერებს. გვინდა ყოველივე სიკეთე თანამედროვე ცხოვრებისა ჩვენს ქვეყანაშიდაც ვადმოვიტანოთ. ვაარსებთ სხვადასხვა გვარ საზოგადოებას, ვხსნით სკოლებს და სასწავლებლებს, ვცდილობთ შეილები არ დაგვრჩეს უსწავლელი. ცოტ-ცოტათი ვაქრობა-მარეწველობასაც მოვიკლეთ ხელი, ჩვენი მუშაკ გამოვიდა კარჩაკეტილობიდან და არსებობისათვის მძაფრ ბრძოლაში ისიც ჩაება. ერთი სიტყვით წლებზე ფებს ვიღვამთ, რომ ცხოვრებას გაუმკლავდეთ და უკან არ ჩამოვრჩეთ.

მაგრამ ყოველივე ასეთ ჩვენს მაცადინეობას, საქმიანობას, მუშაობას და მისწრაფებებს რაღაცა აკლია ისეთი რამ, ურომლისოდ ყველაფერი უბარაქო, უღოვლათო, უღონო-უსუსური გამოდის. გვაკლია შემაერთებელი ძალა, გვაკლია ზნეობრივად შემაკავშირებელი მადლი.

ამ მოქალაქობრივ ფუს-ფუსში გავფლანგეთ ეს ჩვენი ზნეობრივად მასაზრდოებელი ძალა. ეს ძალა არის ისტორიულად ნაცადი ქართული მგზნებარე სარწმუნოებრივი გრძობა-შემეცნება. წინაპართაგან ამ ნიადაგზე უხვად მოგროვილი ზნეობრივი სიმდიდრე და სულიერი სიმდიდრე დაეხარჯეთ უკვე, ახალი კი ამ მხრივ არა შეგვიძენია რა და დავიქსაქსეთ კიდევ!

საარაკოა ის განხეთქილება, ის შეურიგებელი, სამკედრო-სასიკოცხლო ბრძოლა, რომელიც გაჩაღებულია დღეს ჩვენი ქვეყნის მგრედწოდებულ შეგნებულ პირთა სხვა და სხვა წრეში. ისეთ სიძულელით, ისეთ გაშმაგებულ ქიშპობით ებრძვის დღეს ჩვენში ძმა-ძმას, რომ მათი შერიგება მგონი სიკვდილსაც აღარ შეუძლია!

ასეთ ნიადაგზე ქვეყნის სასიკეთოდ საფუძვლიანი და მკვიდრი არა გაკეთდება რა! თუ რაიმე ძალ-ღონე გვაბადია სულ ამ უაზრომიწვე-მოწვევას და ერთმანეთის გათახსირებას უნდება!

ცხოვრება კი, თანამედროვე ბუმბერაზი

ცხოვრება,—თვის უღომებელ კანონებით, ასეთ უსუსურ-უაზრო მოქიშპეებს ზევიდგან დაგვცქერის და მწარედ დაგვცინის, რომ ჩვენდა შეუმჩნეელად, ნელ-ნელა ფეხქვეშ ნიადაგი გვეცლება...

ეგ არის საზოგადო მოღვაწეობა?! ეგ არის ჩვენი შეგნება?! ეს არის მეოცე საუკუნის ჩვენი მოქალაქობა, მამულიშვილობა?! ეგ არის ნაამაგარ მამა-პაპათა ჩვენდამი ანდერძი?!

მაშ გონს მოვიდეთ, საყვარელნო! ნუ შევარცხვენთ, ნუ შეურაცხყოფთ მათ წმინდა ხსენებას. ნუ დავსცემთ ჩვენს გმირ-მოწაფეთა ღვაწლს, ნუ ჩავაქრობთ ჩვენს გულში ქრისტიანთაგან ანთებულ ცხოვრების განმაცხოველებელ ლამპარს. ძველ ქართულთ სიმტკიცით და თავდადებით გაუფრთხილდეთ წინაპართა ნაანდერძე სიწმინდეებს. აი აგრე მხურვალედ, ხელი-ხელ ჩაკიდებული, გარს შემოვერტყათ, მათ! აღვადგინოთ, გავაშვევოთ და გავაძლიეროთ ისინი! ღმერთიც მაშინ სასიკეთოდ იბრუნებს პირსა თვისსა ჩვენზე, დაამყარებს ჩვენ შორის ურთიერთადმი სიყვარულს, მოსპობს საზოგადო მოღვაწეთა შორის დღეს მძინვარე შეუღლს, მტრობას, დაუნდობლობას, უაზრო ქიშპობას და ნაცლად განამტკიცებს სანუკვარ თანხმობას, ერთმანეთის პატივისცემას, მორიდებას და დაზოგვის..

მოვიკრიფოთ, საყვარელნო, მთელი ეს წრფელი გრძობები, თვალი აღვაპყრათ ზეცად; წარმოვიდგინოთ ჩვენგან ხორციელად ქრისტიან-მეუფისაგან იქ აყვანილი დედა ღვთისა, ჩვენი მფარველი, რომლის წილხდომილია ეს ჩვენი სამშობლო. წარმოვიდგინოთ ის მღვთმარე წინაშე ღვთისა, ხელაპყრობილი, მხურვალე მეოხი მთელ საქრისტიანობისა, შევავედროთ მას ჩვენი თავიც, მისი წილხდომილი ივერია, რათა მან თვის დედობრივ ჩვენზე მზრუნველობით, გვიშვამღვამლოს წინაშე ძისა თვისისა და ღვთისა ჩვენისა, რომ შეუფემან ჩვენმან მოგვხედოს თვის მოწყალე თვალით, — ნუ ვარემიქცევს პირსა თვისსა ჩვენგან, დაამშვი-

დოს და განაპოხიეროს ცხოვრება ჩვენნი, დააც-  
ხროს უთანხმოება-განხეთქილება ჩვენ შორის,  
კვლავაც მოგვეცეს ძალი და ნიჭი კეთილ-მოქა-  
ქობით განვლოთ ამა წუთი სოფლის გზა...

ღედა ღვთისაო, ისმინე ესე ვითარი ჩე-  
ნი ვედრება! პირო ღვთისაო, მომხედენ ჩვენ!  
ამინ.

ანხისხატის საკრებულო ტაძრის წინამძღვარი,  
ღმკ. ნ. თალაქვაძე.

### პრესა და სამღვდლოება.

კრიტიკული შენიშვნა.

გაზეთ თემის ამ წლის 137 ნუმერში მო-  
თავსებულია ბ. კოტე ყიფიანის სახუმარო ეს-  
კიზი სათაურით „ხიფათი“. ხსენებული ესკიზი  
არც ერთი მხრით შესანიშნავი არ არის, ოხუნ-  
ჯობაც ძალიან ცოტაა შიგ, თუმცა ავტორს  
არ დაუზოგავს თავის ლიტერატურული ოხუნ-  
ჯობის ძალღონე, რომ ესკიზი საოხუნჯო და  
სასაცილო გამოსულიყო. ესკიზი, უკბილო ხუმ-  
რობას რომ იტყვიან, სწორეა ის არის, მაგ-  
რამ ჩვენ, როგორც ხუმრობასა და სიცილს  
გადაჩვეულს, არც ამ მხრით გვაინტერესებს წე-  
რილი. თუ ჩვენ ყურადღება მივაქციეთ მას  
და ხსენების ღირსი გავხადეთ, ეს იმიტომ,  
რომ მასში დაინახეთ მთელი ჩვენი ქართული  
პრესის და მის სულის ჩამღვმელ ინტელიგენ-  
ციის შეხედულება თანამედროვე მოძღვრის  
შეგნება-განვითარებაზე, მის ცოდნის და გა-  
მოცდილების ავლა-დიდებაზე. მღვდელი ჩვენი  
პრესისა და ინტელიგენციის შეხედულებით  
არის ერთი ვინმე ხეპრე ტეტია, რომელიც  
თავის სოფელს არ გასცილებია, არაფერი უნა-  
ხავს, არაფერი წაუკითხავს, თანამედროვე კულ-  
ტურის სუნიც არ სცემია, კიდევ უმეტესი, იგი  
განვითარებით გაცილებით დაბლა სდგას თავის  
მუშა-მოჯამაგირებზე, რომ იგი კაი ხანია ჩა-  
მორჩა მრევლს და ძლივს მის კულში მიჩანჩა-  
ლობს, თუმცა კიდევ ბატონობს მასზე. ასეთი  
შეხედულება დიდი ხანია ტრიალებს მღვდელ-  
ზე ჩვენ ინტელიგენციაში და ეს არის იმის მი-  
ზეხიცი, რომ ამ ორ ქვეყნის მოღვაწეთა შორის

ჩატყდა ხიდი, რომ ინტელიგენცია უნდობ-  
ლად უცქერის სამღვდლოებას, როგორც  
დროს ჩამორჩენილ წოდებას, როგორც ტრუმორ-  
წმუნოების საბუღარს, რომელსაც სწამს თავის  
ლოცვა-ვედრების ძლიერება და ჭგონია, რომ  
ლოცვით მატარებელსაც კი გააჩერებს, მთებ-  
საც კი შესძრავს, ბუს უსიამოვნო შემოძახილ-  
საც პირჯვრის წერით კეთილის მომასწავებლად  
გახდის. ერთი სიტყვით ინტელიგენციას არ  
სწამს სამღვდლოების კულტურისნობა და,  
რადგან საზოგადოთ სარწმუნოება შერყეული  
აქვს, არც უნდა საერთო რამ იქონიოს მას-  
თან, ან ახლოს მიუდგეს გასავითარებლად. ინ-  
ტელიგენციას ის უნდა, რომ მღვდელს ხალხ-  
მაც ზურგი შეაქციოს, სარწმუნოებას, რო-  
გორც ხუცის ჯორს, ზურგზე მოექცეს, შე-  
მოჰკრას დეზები და გააქანოს, მღვდელი კი  
თავის უვიცობის უფსკრულში ჩატოვოს. სწო-  
რეთ ინტელიგენციის ამ მიმართულების გამო-  
მხატველია ბატონი კოტე ყიფიანის სახუმარო  
ესკიზი „ხიფათი“ და ამის დასამტკიცებლად  
მოვიყვან მოკლეთ მის შინაარსს.

მღვდ. ნიკიფორ ს, რომელიც რვა ვერ-  
სით არის დაცილებ ღირკინის გზის სადგურს  
და რომელსაც, მიუხედავთ ამისა, არც რკი-  
ნის გზა უნახავს და არც ორთქლმავალი (!)  
თბილისის სემენარიიდან შეიღის ავათმყოფობა  
მოსვლია და წასვლას აპირებს. ფოფოლია ნე-  
ონილა ხუცესს საგძალს ულაგებს ხვირჯინ-  
ში და ავათმყოფ შეილსაც არ ივიწყებს, ცო-  
ტა რამეს იმასაც უგზავნის. ბეკოია მოჯამაგი-  
რე შეკაზმულ ჯორს მოართმევს მოძღვარს,  
მოძღვარი ჯორზე ჯდება, ბეკოია ხვირჯინს  
აიკიდებს და ორივენი მიდიან. გზაში ღვდელი  
ხედავს, რომ ბეკოია წელში იღუნება ხურჯი-  
ნის სიმძიმით, მაგრამ მას არ ენანება იგი. უფ-  
რო თავის ჯორი ებრალება, რომელმაც მას-  
თან ერთად უნდა იტირთვოს ბეკოიის ხვირ-  
ჯინიც. ღვდელმა ისიც არ იცის, თუ რამდენი  
მანძილია სადგურამდი და ამის შესახებ ფო-  
ფოლიას სიტყვებზე ემყარება.

— ბატონო მძიმეა ე ხურჯინი... აკვირ

დებ მაგ ჯორს... ეუბნება ქანც გამოლეული ბეკოია მეორე ვერსზე.

— რას უნობ, ბოშო?! მეც ზედ ვიყო და ხურჯინიც? რაეა იქნება! ნამეტანი მოუვა. არა გიშავს რა, რკინის გზა შორი არაა ასე არ სთქვა ფოფოლიამ?

— შორს რაეა არ არის, კაი ათი ვერსი იქნება და თორმეტიც.

— იმე, იმე წამოიძახა მღვდელმა. ხურჯინი მაინც არ აჰკიდა ჯორს. ბიქს რა მოუვაო, დაიღლება, ცოტა ხანს შევისვენებთ გზაშიო. ბიქი არა და ჯორი კი ებრალებოდა.

ამნაირათ მამა ნიკიფორე იმასაც ვერ მიხვდა, რომ თუ გაუქირდებოდა, ჯორის დასვენებაც შესაძლებელი იყო.

— გივლია შე, ბოშო, რკინის გზით? შეეკითხა მამა ნიკიფორე ბეკოიას.

რაეა არ მივლია! კი, ბატონო, მივლია, ფოთს ვიყავ, ბათომს, სამტრედიაშიაც, ქუთაისსაც, თბილისის ქალაქს არ გხლებივარ.

— მე ჯერ არ მივესა ი გზით—უთხრა მღვდელმა.

— ჰო და, თუ არ გივლია, ბატონო, და გასაკვირალი იქნაი ბრველია.

— რაა მაინც? დაინტერესდა მღვდელი.

— რაა და... დინახავ, ოთახები კაი კაი; პალატები და მიგორავს თავისით, ხალხით გაქედლილი, ისეთ ჩქარათ, რო ვერა ბედაური ცხენი ვერ დეწევვა.

— იი, დიდება შენი ღმერთო, წამოიძახა მღვდელმა და პირჯვარი გადიწერა.

ამ რიგათ ნიკიფორე ხუცესი არამც თუ ქუთაისში არ ჩასულა რკინის გზით, თვალითაც არ უნახავს მატარებელი. არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ ბ. ავტორს, რომ აქ ცოტა გადამლაშებული სიყალბეა. დაუჯერებელია საღვურიდან რეა ვერსის მანძილზე. კაცი ცხოვრობდეს და ისე მოხუცდეს, რომ მატარებელი თვალთ ვერ დაინახოს. შეიძლება სამღვდლოება ბევრ შემთხვევაში კულტურულათ ჩამორჩენილი იყოს ინტელიგენციის, მაგრამ დაუჯერებელია, და ჩვენ ეს გამოკვდილებითაც ვიცით, რომ მღვდელი თავის მოჯამაგირეს ეკითხებოდეს მატარებლის ამბავს, რომ მღვდელი კულტურულათ ამდენზე ჩამორჩენილი იყოს თავის მრევლს. უეჭველია აქ ავტორი მღვდლების მიმართ არა მეგობრულ განწყობილებას გაუტაცუნია და თავის მსჯელობაში წრეს გადაცილებულა, რომ, რაც შეიძლება, მეტათ გაეშუქებია სამღვდლოების კულტურული დაქვეითება.

მავე მიზნით არის ისიც, რომ მღვდელი თითველ ფეხის გადადგმაზე გაოცებული რჩება რკინის გზას როცა ათვლიერებს და ისეთ ხეპრულ საქციელს სჩადის, რომელიც არ ებატება არც ერთ ველური ხალხის შვილს.

— ჰმ... საოცრებაა, საოცრება! იძახის გაოცებული მღვდელი ლიანდაგს რომ დაინახავს. მაგრამ ისევე მალე მშვიდდება, ხვდება რა, რომ ეს რკინის გზის ლიანდაგია.

— ხო .. ეს კალაპოტი ყოფილა რკინის გზისა... ჰმ... მაშ აი რა ყოფილა ე რკინის გზაი!

— სიბრძნით! იძახის მღვდელი, როცა გაჩერებულ ორთქლმავალს ხედავს და ხან ჯორი ჰგონია, ხან ცხენი და ხან კამეჩი. ბოლოს როცა რწმუნდება, რომ იგი არცერთი მათგანი არ არის, რაღაც მანქანებით გული მოსდის და შიგ ორთქლმავალში შეიჭრება, რომ დასაჯოს, დაარბიოს ეს რაღაც ახმახი სდგას აქა და ხმას არ იღებს ზუცის უავარჯნის შეხებაზე. შევიდა თუ არა მანქანაში, „ნიკიფორე შეჩერდა და ჩაფიქრდა“—სიბრძნით! სიბრძნით! ღმერთო, შენ, შემოწყალე! ჩვენთან არს ღმერთი! მე შენ გიჩვენებ, ვინცა ვარ! (ლულულულებს რაღაც უმიზნოთ და უმიზნოთ გააფთრებული მღვდელი) გადიწია მარჯვენა მჯა და იწვდინა ნიკიფორემ ხელი შავად რაღაც გამოშვერილისაკენ; ენა იყო იმ მანქანის თუ ყურბი... რა მოსწია ღონიერად და თავისკენ ვადმოსწია (სტილი თლათ ავტორისა). ხაღლაღაც რაღაცამ დაიძახა, აშიშინდა სითკენაც, შეინძრა შეიბერტყა ტანი და, მოგეცა ღვთის წყალობა, იკადრა ფეხის გადადგმა.

— ი, ი, იმე, ე!?

— ჰა სად წახვალ, სად შე საწყალო და ეშმაკის კვამი, სატანავ, და წამოსწია უფრო

...

...

...

...

...

...

ლონივრად ყურს—გახტა უცებ და როგორ გახტა! კინალამ გაღმოვარდა ნიკიფორე; მაგრამ ვაი შენს მტერს, ისეთის ხმით დაიწვილა დაიღრიალა და ისეთი შტვენა აუშვა, რომ ყურთა სმენა აღარ იყო,—ღრიალით, ქშენითა და შტვენითა, ფუფუნითა და ფურთხით მოუსვა და მოუსვა, მიჰქროლავს და მიჰქროლავს.

ციბრუტივით დატრიალდა ზედ ნიკიფორე მღვდელი...

— მოიკა შე საწყალო! სად მიიჩქარი ასე, ჩემი ხვირჯინი დამრჩა, ხაქაპური, სულ გუნნი... გაჩერდი!! და ის იყო აიწია კალთები და გადახტომას აპირებდა, რომ ქარმა ქუდი მოსტაცა... აერია ყველაფერი და ბოლოს, რო ველარა გააწყო რა... იქვე ჩაჯდა და ლოცვა დაიწყო, ცხარე ლოცვა, რო ერთი „უჰ“ დაიძახა მანქანამ და გაჩერდა...

— ღმერთო შენ შემიწყალე! დიდ არს საქმენი შენნი!—სტქვა მღვდელმა... გადმოხტა და მოჰქურცხლა.

— ვაიჰ ჩემო ხვირჯინო, ვაიჰ, ვაიჰ! იძახოდა მღვდელი. ასეთი ხიფათი ღაენახა ჩემს ნიკიფორე ხუცესს, ამოლოვებს ავტორი თავის საოხუნჯო უთავბოლო მოთბრობას, და ასე ჰნახა თავისი ბარნაბა...

სწორეთ რომ საესებით ავტორისაა ეს ნიკიფორე ხუცესი, თორემ ასეთი ხუცესი არავის უნახავს ღუნიაზე.

დასასრულ არ შეგვიძლია არ აღვიაროთ, რომ მოთბრობა ყოველი მხრით სუსტია და ენის მხრით, ხომ სულ ხელიდან წასული. გვიკვირს მოთბრობის რომელმა მხარემ მოხიბლა ან რედაქტორი და ან გამომცემელი, რომ გაზეთის მთელი სამი სვეტი დაუთმეს ამ უკბილო ოხუნჯობას? ნუ თუ ინტელიგენციის საზოგადო განწყობილებამ ეკლესიისა და სა-მღვდელმლოებისადმი?!

არ დაგვემთავრებია ეს წერილი, რომ „თემის“ შემდეგ ნომერში ბ. შავერიანეს გურიის ამბებში ამრეკითხეთ, რომ გურიაში ქალღლდისა და წარდის თამაშის ლიდერები სხვათა შორის მღვდლებიც ყოფილან. გაგვხარდა,

რადგან ამ მხრით მაინც დაახლოებია სამღვდელ-ლოება ინტელიგენციას!..

ხელი.

## ჰრესა და სარწმუნოება.

თამარის ძეგლი.

თამარის სახსოვრად ძეგლის დადებამ საკმაოდ გაიტაცა და აღძრა ჩვენი ეროვნების მოყვარული მამულიშვილები. ყველას საჭიროთ მიაჩნია რაიმე საუკუნო სამახსოვრო ძეგლით აღინიშნოს საქართველოს მზის თამარ მეფის დაბადების შეიდასი წლის თავი. არ შეგვიძლია სინაბრულით არ მივეგებოთ ასეთ დღესასწაულეზბრივ აღტყინებას საზოგადოებისას, რადგან ამაში ჩვენ ვხედავთ საიმედო ნიშანს, რომ ქართველს ქართველობა უნდა შეინარჩუნოს, უნდა დაამტკიცოს, რომ ის თავყენისმცემელია იმ წინაპართა სულისა, რომელმაც შეგვინახა მიწა-წყალი, ენა და სარწმუნოება, ვინც დაიცვა ჩვენი ეროვნება და არ გათქვიფა იგი უცხო ერებში. ეს იმის ნინაშია, რომ კვლავისთვისაც სურვილი გვაქვს ხელშეუხებლად დავიცვათ ეროვნობა და ყველა ეროვნული საუკეთესო, ნამდვილი ადამიანური თვისებანი, გრძობანი, აღმაფრენანი და მისწრაფებანი. რომ ასეთი და არა სხვანაირი აზრი ჰქონდა, დღემდე მაინც, ამ ეროვნულ მისწრაფებას, ამის დასამტკიცებელი საბუთი ის ვახლავს, რომ, თითქო დიდი ხნიდან შეთანხმებულებით, ერთ ხმათ, ან, უკეთ ვსტქვათ, უხმოთ აღვიარეთ, რომ შესაფერი სახსოვარი და სამარადისო ძეგლი თამარ მეფისთვის იქნება გელათის გეგმის ტაძრის აგება მის სახელობაზე საქართველოს დედა ქალაქ თფილისში. ეს აზრი მაშინვე გაჩნდა, ჩაისახა თუ არა ჩვენში სურვილი თამარის ხსენების შესაფერისი აღნიშვნისა და არათუ გაჩნდა, არამედ აღმაშენებელი კომიტეტიც თითქმის შესდგა. ე. ი. აზრმა თითქმის ბორც-შესხმა იწყო. და აი სწორეთ ამ დროს გამოდის ქუთათური საეღვე ვაჭარი და ვაჭრულ ანგარიშს უწევს უკვე თით-

ქმის საბოლოოვით გადაწყვეტილ საკითხს.\*) იგი სარგებლობის თვალსაზრისით უკუქერის ამ საკითხის განხორციელებას და რჩევას იძლევა ისეთი რამ სახსოვარი ძველი აიგოს, რომლიდანაც შესაძლებელი იქნეს საგრძობელი სარგებლობის გამოტანა, მაგ. მუხუმში, ან ქალთა გემნაზია, ან სხვა რამ ამნაირი დაწესებულება. ტაძრის უარყოფის საბუთად ბ. ვაჭარს ის მოსაზრება მოჰყავს, რომ სარწმუნოებრივი „აღფრთხილების დრო ისტორიას ჩაბარდა“,

რომ ახლა, ბატონებო, სულ სხვა დროში ვცხოვრობდ და ისედაც გაძვალ-ტყავებულსა და სარეული ჯიბის მქონე ქართველის ყოველივე კაპიკს ანგარიში უნდა გაუწიოთ და წინდაწინ განუსაზღვრულად არ ვხარჯოთ. ან და რა უზრუნველ საყოფს საბუთს გვაძლევთ, რომ ავაშენებთ ეკლესიას და არ გაივლის სულ ცოტა ხანი, რომ ეკლესიას საპოლიტიკო მიზნისთვის არ გამოიყენებენ, არ განდევნიან იქიდან ქართულს ენას და ქართველს მოძღვარს, როგორც ამ ეჟამდ დიდებულსა და სიონის ტაძარში არის? რაღა მნიშვნელობა ექნება მაშინ იმას, რომ სახელი, ეკლესიას თამარისა ერქმევა. ერთი მაგალითი ამისი ისიც გახლავთ, რომ ბოდბის მონასტერში, სადაც წმ. ნინო ასაფლავია, დღეს ქართული ენა აღარ არსებობს და, რამდენადაც ვიცი, აღარც ქართველ მონაზვნებს იღებენ იქ. ყველას მოეხსენება, რომ ხალხში ამ ეჟამდ სარწმუნოების მტკიცე სიყვარული აღარ არის, როგორც დღემდე იყო; გენებოთ, სამწუხაროდ ჩასთვალეთ ხალხის ამგვარი გულ-პიობა სარწმუნოებისადმი, ბევრის უქადაგეთ, რომ დაუბრუნდეს ეკლესიას იმავე რწმენით, რა რწმენას დღემდე ჰქონდა, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიადწევთ, რადგანას, როგორც ზევით მოგახსენეთ, ყველაფერი ეს ისტორიას ჩაბარდა და მისი აღდგენა ძლიერ სათუთაა. ამითი მე იმისი თქმა გი არ მინდა, რომ ხალხს სარწმუნოება წაეართვათ და მაგიერი არაფერი მიეცეთ! თვითონ ხალხი თუ მივა იმ შეგნებამდე, რომ აეს და კარგს გაარჩევს, ძალიან სასურველიც იქნება. მაშ, რა გენებოთ, რითი ესცეთ პატივი თამარის ხსოვნასო?—იკითხავთ თქვენ. ჩემის უსწავლელი ბავშვით მოგახსენებ, რომ გვაქვს ბევრი საკულტურო საქმე, გენებოთ იმათ დაარქვით თამარის სახელი, მაგალითად, განზრახულ მუხუმს, ან ქალთა გემნაზია დაარსეთ ტფილისში თამარის სახელით და ამითი თანაირი საქმე გაკეთდებო: ერთი რომ

თამარის ხსოვნას პატივსა ვსცემთ და მეორეც—ბევრი ღარიბი კაცის შეიღო გამოიხდება და ხალხში საღს განათლებასა და სოდნას შეიტანს, რას შეეხება საბურთალოზე მსხოვრებ ქართველებს რომ ეკლესია სჭირიათ, ეს მათი რწმენის საქმეა, ააშენონ თავისი შეძლებით და ვისაც გული ერჩის, დაეხმაროს კიდეს, მაგრამ ამ ეკლესიის აშენება, რომ საეროვნო და სახეიმო საქმედ გავხადოთ, ეს არ იქნება ჩვენი დროის შესაფერი მოქმედება.

ბ. ვაჭარს დაეწეება, რომ დღევანდელი შკოლები ყველა განურჩევლად წოდებისა პოლიტიკას ემსახურებიან, მეცნიერებაც უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკას ემორჩილება, მაგრამ ამის მიზეზით ჯერ არავის ფიქრადაც არ მოსვლია შკოლისა და მეცნიერების უარყოფა. წინააღმდეგ, ცდილობენ შკოლები გაამრავლონ, მეცნიერებაც ქვეყანას მოჰფინონ და განათავისუფლონ იგინი პოლიტიკის მონებისაგან. ეგრევე უნდა ვიქცოდეთ ტაძრების შესახებ. უნდა ვცდილობდეთ, რომ ეკლესია და სარწმუნოება, არა თუ პოლიტიკას ემსახურებოდეს, არამედ კრიკაში უდგეს მას და აძლევდეს ქრისტიანულ ზნეობრივ სახეს და მიმართულებას. რაც შეეხება ეკლესიის რუსების ხელში გადასვლას, როგორც გადავიდა მაგ. ბოდბის მონასტერი და დიდუბის ეკლესია. ეს საგნებით ჩვენი ბრალია, ბ. სავლე ვაჭარო. თქვენ, ბატ. სავლე, მოჯდომიხართ თქვენ სავაკროს და კვირადღესაც კი არ სცილდებით იმ მიზნით, რომ შეიხედოთ იმ სარწმუნოებრივ დაწესებულებაში, რომელმაც თქვენ გშვათ, და აღგზარდათ ზნეობრივად და გაგხადათ ადამიანად. თქვენი სული თქვენ სავაკროს გარშემო ტრიალებს, რომლისგანაც ყოველ ბედნიერებას მოელოთ, რომელსაც შესწირეთ ყოველი თქვენი ადამიანური და ქრისტიანული მოვალეობა, რომელსაც საბოლოოვით დაემონეთ, რომლითაც შეზღუდეთ ყოველი თქვენი მისწრაფება. თქვენ ტაძარსაც ვაქრული თვალთ უყურებთ, თქვენ იქიდგანაც გენებოთ ნივთიერი, ვაქრული სარგებლობა გამოიტანოთ, ე. ი. ქანქარი იშოვნოთ და ამიტომ ეკლესიაში აღარ დაიარაბებით; დაგავიწყდათ ღმერთიც, სარწმუნოებაც და რით გიყვიროთ, რომ თქვენგან მიტოვებულ ყველ

\*) იხ. „სახ. ვახ.“ ა. წ. № 980.

სია-მონასტრებს სხვები დაეპატრონონ?! თუ თქვენ სავაქროს თქვენს მეტი არაფერ ეპატრონება, ეს იმისი მიზეზია, რომ სულ თავს დასტრიალებთ და მზადა ხართ სიციცხლეც შესწიროთ მას. ასე მოიქვეით ეკლესიის შესახებაც და დარწმუნდით, რომ ვერაფერი ტლანქი ძალა ვერ შესძლებს მის დაპატრონებას, მის დაპყრობას. დასტოვებთ რამოდენიმე წლით უპატრონოთ თქვენი დუქანი და ნახავთ, რომ მას სხვა პატრონი გაუჩნდება. ასე მოუვიდა თქვენგან მიტოვებულ ბოდბესა და დიდუბესაც, ასე მოუვიდა, რა თქმა უნდა, თამარის მომავალ ტაძარსაც, თუ ქართველები მხოლოდ ააგებენ და შიგაღარ შეეკარებიან, არ დაეპატრონებიან. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ თუ ქართველებმა თამარის ხსოვნის შესაფერისად ტაძარი აღიარეს, კიდევ შევლენ ამ ტაძარში თამარის ხსენების საღიდადობად, არ დასტოვებენ მას ცარიელს არც ერთ დღეს, არც ერთ წუთს, წმ. თამარ შეფეს და სხვა თავდადებულ ქართველებს შეავედრებენ ტანჯულ სამშობლოს, გაიმსჭვალებიან მათი გამირული სულით, უკუაგდებენ ვაჭრულ ანგარიშებს და უანგარო თავგანწირულებით მედგრად გაუმკლავდებიან სამშობლოს ხილულსა და უხილავ მტრებს და იმ ვაჭრებსაც, რომლებიც ერთ თოფ ჩითათ ჰყიდიან დიდებულ ეკლესია-მონასტრებს, ერთ ლურსმანში სცვლიან სარწმუნეობას.

რაც შეეხება ხალხში სარწმუნოების დაქვეითებას, ეს, სამწუხაროთ, ფაქტია, ფაქტი დიდათ საფალოლო არა მარტო იმიტომ, რომ ადამის შეილი ჰკარგავს ზეცას, არამედ იმიტომაც, რომ იგი ჰკარგავს მყუდროებას, სულის მშვიდობას, ხდის ქვეყნიურ ცხოვრებას ჯოჯოხეთად და ასეთ მდგომარეობაში ჰკუთათა მყოფი კაცი ცეცხლზე კიდევ ნავთს დაასხამს, კიდევ იმის მტკიცებას დაიწყებს, რომ სარწმუნობრივი ძველი შესაფერი არ იქნება მისთვის, ვინც წმიდანთ არის ხალხისგანვე აღიარებული? გარწმუნებთ, ბ. ვაჭარო, რომ ხალხში სარწმუნოება კიდევ იმ ზომად არ დაკლებულა, რომ წმიდანის სახელზე მუზეუმის და თეატრების აგება შესაძლებელი გამხდარიყოს. ჰო,

თქვენ არ გნებავთ „ხალხს სარწმუნოება წავართვათ და მივიყრი არაფერი მივსცეთ“ (კურსივი ჩვენია), მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით, საქმით კი სარწმუნოებასაც უსუსტებთ ხალხს, ბ. ვაჭრებო, და ვერც არაფერს სამაგიეროს აძლევთ, და განა ვაჭარს შეუძლია გასცეს რამე? გვაკვირვებს ბ. ქუთათური ვაჭრის გაბედულება, რომელიც თავის თავზე ამოდენა პასუხის გებას ღებულობს ხალხის მიმართ და თავის თავს ხალხს გარეშე აყენებს. აფსუს ვაჭრის საბურთალო ხალხო!

მიუხედავად სავლე ვაჭრის ფილოსოფოსობისა. თამარის ხსენება ტაძრით უნდა აღინიშნოს, რადგან: 1) იგი წმიდანთ არის შერაცხილი, 2) თვით მოკრფილვე იყო სარწმუნოებისა, რასაც მოწმობენ სხვადასხვა ადგილებზე და მიუვალ მთის წვერებზე მისგან აშენებული ტაძრები, 3) უმთავრესად ეკლესიამ დაიცვა ჩვენი ეროვნება თავის საუკეთესო თვისებებით, 4) მან აღზარდა თამარი და სხვა თავდადებული მამულიშვილები და 5) დღესაც ეკლესია არის ჩვენი ეროვნების დამცველი.

ხელი.

### ქუთათური პრესა და სარწმუნოება.

ჩვენ ქუთათურ პრესას სარწმუნოება და მისი გამომხატველი კულტი პიტნათაც არ მიაჩნია. თუმცა მის საწინააღმდეგოს ვერაფერს დადებითს ვერ ამბობს, მაგრამ გაკვრით, ირონიით, ქირღვა-ლაზღანდარობით ბევრს რამეს ლაყბობს. ხანდახან პროვოკატრობასაც ეწევა და საზღვარ გარეთელი მაგალითებით აღმაცერათ ეუბნება ხალხს: „რა არის, ამ სარწმუნოებას რომ ჩასციებიხართ, შეხედეთ საზღვარ გარეთს და ისე მოიქვეითო“. ასეთი პროვოკაცია გასწია მაგ. „იმერეთმა“ ამ ცოტა ხნის წინეთ, როცა სტატისტიკური ცნობები გამოაქვეყნა იმის შესახებ, თუ რამდენი მლოცველი დაიარება დღეს საფრანგეთის ეკლესიებში.

ამის შემდეგ „კრატებს“ და მათ ორგანოს „განთიადს“ რაღა დაეძრახათ, როცა თა-

ვის ურწმუნოების, უფრო კი უგნურობის, სი-  
მალიდან გაიძახიან, რა არის ლოცვა, ხალხს  
ქადი აქამეთ, ის ურჩევნიაო.

რაჰის კორტესპონდენტი ბ. ილიკო არ-  
ჩეაძე\*) ლოცვასა და ღვთის ვედრებას ჩხარკე-  
დელიაობას ეძახის და სიცილიათ არ ყოფნის,  
რომ რაქველებს წვიმის მოვლინებისთვის  
ღვთისთვის მიუპართავთ ვედრებით შემცდა-  
რან! უნჯობესი იყო ილიკო არჩეაძისთვის მი-  
ეპართნათ, რომ წვიმა მაშინვე მოსულიყო, ან  
მარქსი ეხსენებიათ, ან ახლად მიცვალებული  
ბებელი. ეჰ! რა მოგახსენათ, ბატონო არჩეა-  
ძე, მის მეტი, რაც არ მოგახსენათ თქვენისთან-  
ა პირებზე დავით წინასწარმეტყველმა: „სთქვა  
უგნურობა გულსა შინა თვისსა არა არს ღმერ-  
თი“!

**ხელი.**

**ჩვენი საერთო ზრესა და ილია ჭავჭავაძის  
ვერსკული სიკვდილი.**

მე ჩემი თავი უპარტოო კაცათ მიმაჩნია.  
ჩემი სიმპატია მიმართულია მისკენ, რაც სა-  
მართლიანი, კეთილშობილური და ნამდვილ  
ადამიანურია. დასაგმობს ყოველთვის დავგმობ  
და მოსაწონს მოვიწონებ; უდანაშაულოდ  
ცილის ვერავის დაწვამებ და დანაშაულიც არ  
შემიძლია ვისმე მოუწონო და არ ვამხილო.  
რაცა შეეხება საქართველოს სასიქადულო მა-  
ბულიშვილის ილიას ვერაგულათ მოკლას, მე  
ამას გადაჭრილათ ვერ დაეაბრალებ ესდევთა  
პარტიას, რადგან, დარწმუნებული ვარ, ბევრ  
პარტიოსანსა და შეგნებულ წევრს ხსენებული  
პარტიოსანს ფიქრადაც არ ექმნებოდა ილიას  
სიკვდილი და ძლიერაც აღაშფოთებდა საზო-  
ღარი აქტი პროტესტის მკვლელობისა. ეს ასეც  
უნდა ყოფილიყო, რადგან მკვლელობა, ვისიც  
უნდა იყოს და ვისგანაც უნდა იყოს, უსაში-  
ნელოეს დანაშაულათ არის მისაჩნევი. მაგრამ,  
საუბედურათ, 1905 წლის მოძრაობამ ისე  
დასლუნგა ჩვენი გრძობა, რომ კაცის პიროვ-

ნებას ჩაღის ფასათ აღარ ვაგდებთ და კაცის  
მოკვლის ამბავი ჩვენში ხშირათ უბრალო სი-  
ბრალოულს, უბრალო თანაგრძობასაც არ იწ-  
ვევს. თუ ღილის მკვლელობამ ყველა აგვაშ-  
ფოთა და აგვატირა, ეს იმიტომ, რომ ილიას-  
თანა ადამიანი ჩვენისთანა მდგომარეობით და-  
ბეჩავებულსა და რიცხვით მცირე ერს საუკუ-  
ნოებით მოველინება ხოლმე. მაგრამ უმრავლეს-  
სობა ხომ ჩვეულებრივი ადამიანია და განა  
ვინც ილიასთანა ან აკაკისთანა არ არის არ  
უნდა შევიბრალოთ და მის სიკვდილზე ცეკვა  
დაუაროთ? ჩვენი გრძობა დასლუნგებული  
საზოგადოება და მისი სულის კვეთების გამო-  
მხატველი პრესა კი, ამ ოთხი ხუთი წლის  
წინეთ მაინც, სწორეთ ტაშს უკრავდა და ცეკ-  
ვას უვლიდა ჩვეულებრივ ადამიანთა მკვლე-  
ლობის დროს. ვინ მოთვლის რამდენი მშრო-  
მელი, შეგნებული, პარტიოსანი და ასე თუ ისე  
საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანი გა-  
მოსალმეს წუთისოფელს! ასეთ მკვლელობებს  
ჯერ საზოგადოთ ჩვენი ქართული პრესა და  
განსაკუთრებით პრესა ესდევებისა არა თუ  
გმობდა და თავის გამოცემის ფურცლებზე  
ვრცელ აზრსა და სურვილს გამოსთქვამდა  
იმის შესახებ, რომ ასეთი ბოროტება აღარ  
განმეორებულიყო; არა, მდამიო მკითხველის  
გულის მოსაგებათ ახალ ამბებში მოათავსებდა  
და თან უსათუოდ ასეთ კუდს გამოაბამდა: ამ-  
ბობენ შპიონი იყო, მთავრობის მომხრე  
იყო, ხალხის შემაწუხებელი იყო და სხ.  
ექვი არ არის, ილიასავით ვერაგულათ მოკ-  
ლულთა უმრიცხვობას არც ერთი ზემოთ  
მოყვანილი თვისებაც არ ექმნებოდა, მაგრამ  
ჩვენ და ჩვენი პრესა უბრალო თანაგრძობის  
მაგიერ კიდე ათასნაირ ცილს ეწამებდით მი-  
ცვალებულს. (თუ ქართველი საზოგადოება და  
ქართული პრესა საზოგადოთ ხელს უწყობდა  
მკვლელობის გაერცვლებას, კერძოთ ესდევთა  
პრესსამ, ნებისთ თუ უნებლიეთ, ხელი შეუწ-  
ყო ილიას მკვლელობას. მახსოვს ერთს ესდევ-  
თა ორგანოში ვებერთელა წერილი იყო მო-  
თავსებული ილიას შესახებ, რომელსაც ავტო-  
რი მიწასთან ასწორებდა, თითქმის ადამიანათ

\*) იხ. „განთიადი“ № 21.

აღარ ცნობდა მას. დიად, გლეხების შეიწროვება წყლის აკრძალვით, არაკანონიერი გადასახადების გადახდები და ძვირფას ქურქში გახვეული ილიასაგან სასახლის აივნიდან ზამთარში გლეხის თავზე ცივი წყლის გადასხმა პირველი ნაბიჯი იყო პოეტის მკვლელობისაკენ გადადგმული. ამ წერილის შემდეგ მე კიდევ მიკვირდა, რომ ილია 1907 წლამდე სოცხალა დარჩა და, ვიფიქრებ ადამიანობას, პირველი ჩემი ცრემლი სიონის ტაძარში ილიას ცხედარზე კი არა, ადრე ჩემ საკუთარ სახლში დაიღვარა. შეგონა ილიას ვრცელი და საფუძვლიანი წერილი (მთელი ნომერი იყო). გავლენას იქონიებდა და ძვირფასი პოეტის სოცხალე უღვთოდ არ დაეკარგებოდა ქართველ საზოგადოებას, მაგრამ ბოროტი ადამიანი ბოროტსა და ვერაგულ აზრს უფრო ადვილათ ითვისებს, ვინემ პატიოსანსა და სამართლიანს შეუფერებელი ნაძირალები, რომლებსაც თ ვი შეგნებულათ: მიაჩნდათ და იმ დროში მაინც თავს ესდევთა დროშას აფარებდენ, ესეთი წერილების მეოხებით განიშკაოლენ ზიზლით ილიასადმი და მისი მოკვლა საგმირო სასიკადულო საქმეთ მიიჩნიეს. ამ შემთხვევაში ესდევთა პარტიას ის ბრალი მიუძღვის, რომ მან ვერ გაითვალისწინა, თუ არ გაითვალისწინა, რა შედეგი მოყვებოდა მის ორგანოში ილიას შესახებ მოთავსებულ წერილებს, ხოლო სიკვდილის შემდეგ ვერ გამოიჩინა პოეტისადმი ისეთი თანაგრძნობა, როგორც შეშვენის განათლებულ ადამიანთა კრებულს. იმით თავის გამართლება, რომ ილია სხვა პარტიის კაცი იყო, არ შეიძლება. ესეი სოცხალეშიდაც და სიკვდილის შემდეგაც იმის მიხედვით უნდა ფასდებოდეს, თუ რა შესძინა მან საზოგადოებას და არა იმითი, თუ რომელი პარტიის იყო ან არის ის. ამბობენ, ილია ფეოდალი, შემამულე იყო, მაგრამ შემამულეებშიაც ხომ, მისი დიადი სამწერლო მოღვაწეობაც რომ არ მოვიხსენიოთ, ის თითოთ საჩვენებელი ჰუმანიური ადამიანი იყო. ილიას ვარდა რომელი შემამულე მისაკუთრა ვლენებს სანადელოთ მიზომილი ილიაგები? ის კი არა დღეს,

ნახევარი საუკუნის შემდეგ, წუწუნებენ ზოგიერთები, მთავრობამ იათათ მიაკუთვნა გლეხებს სანადელო ადგილებიო. თუ მაინც დავიფიქრებთ, რომ ილია შემამულეებში საუკეთესო იყო, მაგრამ მაინც არაფრათ არგეყო, ეს ხომ იწითელკანიან ამერიკ ველურს მოგვაგონებს, რომელმაც ისპანო კათოლიკე ბერს ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევის მიზნით სამოთხის სიმშვენიერის აღწერის დროს კითხა: „კარგი, მაგრამ იმ სამოთხეში ისპანელებიც იქმნებიანო?“ „იქმნებიანო — უთხრა ბერმა, — მაგრამ მხოლოდ საუკეთესო მათგანო“. „საუკეთესო მათგანი ესმაცხე უფრო საზიზღარია და ამიტომ არც მე მოვიწათლებიო“ — უთხრა წითელკანიანმა და მოკილდა. ამ წითელკანიანით, რომელმაც საუკეთესო ისპანიელთან და ისიც სამოთხეში არ ისურვა ყოფნა, არ უნდა მოქცეულიყვენ განათლებული ესდევები; ისეთ საზოგადოდ მღელვარების დროს მიწასთან არ უნდა გაეწვორებიათ სასიკადულო და დიდათ ნაამაგარი მამულიშვილი. მაგრამ, ვიმეორებ, ესდევებმა ალბათ ვერ გაითვალისწინეს შედეგი პრესის საშუალებით ილიაზე გამხედრებისა. ისინი რომ ამაში გულწრფელად გამოტყდებოდენ, ბევრათ უფრო სამართლიანი იქმნება, ვინემ წარამარა საპროტესტო წერილების წერვა და მოწინააღმდეგე პრესის და მის წარმომადგენელთა ლანძღვა-გინება. საზოგადოთ კი მე გადაქარბებულათ მიმაჩნია როგორც ერთი მხრისაგან სასტიკი ბრალდება, ისე მეორესაგან უმანკობა — უცოდველობის მტკიცება ილიას ტრაგედიაში.

მღ. ს. კუმბურიძე.

### ს ი ტ ე ვ ა

განახლებულ ეკლესიის კურთხევის დროს სოფ. ზანაში.

მოგილოცეთ ეკლესიის განახლებას დიდი შადლობის დიონსი ხართ მრევლნი ამა ეკლესიისა, რომ თქვენ ჩვენი ძვირფასი მღვდელ-

მთავრის ყოვლად სამღვდლო ლეონიდის 1910 წელს ეკლესიის რევიზიის დროს შენიშვნა და დარიგება ეკლესიის განახლების და მხატვრობის შექმნისა არ დასტოვებულა დადგინდებოდ, ამ მოკლე დროში შეუდგენით ეკლესიის განახლებისა და კიდევ ღვთის შეწვევით ღირსეულად დაავიჯინებო. საყურადღებოა და სამაგალითო თქვენი თავგანწირულება, რომ ერთი წლის განმავლობაში უკუაგდეთ პირადი და ყოველივე ოჯახური მოთხოვნილება და არ დაიშურეთ უკანასკნელი ღონისძიება ეკლესიის განახლებისა და მხატვრობის შექმნისათვის. დღეს ყველას, ვისაც კი შერჩენია ეკლესიის სიყვარული, სასობაში მოიყვანს გარეგანი და შინაგანი მოწყობილება ამა ეკლესიისა. თქვენ დიდი მაგალითი უჩვენეთ თქვენგარშემო სოფლების მცხოვრებლებს და მასთან დაუმტკიცეთ, თუ რას ნიშნავს სურვილი და მონდობა ყოველ კეთილ საქმეში; თქვენი მაგალითი გვიმტკიცებს, რომ თლათ არ გამჭარადა ჩვენში ქრისტიანობა და ეკლესიის სიყვარული იმ განსაცდელის შემდეგ, რომელიც გამოიარა ჩვენმა ხალხმა ამ ექვსი-შვიდი წლის წინათ, და მით უფრო გვიხარის დღევანდელი შემთხვევა. ამიტომ გულის სიღრმიდგან ვხმობთ: „ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმა, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა“ დაიხ, გვიხაროდეს, რადგან ამ ტაძარში ჩვენთან არის ღმერთი, და ვისმენტ ხმასა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა. სად შეიძლება განსაკუთრებით მოვისმინოთ ხმა უფლისა? შეიძლება მოვისმინოთ ყოველს ადგილს გვიპასუხებენ, მაგრამ განსაკუთრებით უფრო შეიძლება ეკლესიაში. ის არის სახლი ღვთისა, სახლი სალოცვილო, სასწავლებელი კეთილმსახურებისა, აქვე ეკლესიაში იკითხების სიტყვა ღვთისა, აქ იგალობებიან საღმრთონი საგალობელი, აქ სრულდებიან წმინდა საიდუმლონი, რომელნიც ზრდიან ღვთისა ჩვენისა, აღამაღლებენ და აკეთილშობილებენ პატროსნებასა და სიონისსა კაცისსა. თქვენ განახლებთ ეკლესიას, რომელიც როგორც მართალს, ისე ცოდვილს სინანულით აკავშირებს ღმერთთან. ვინაიდან თქვენ დღეს გაქვსთ ეკლესია ვსთხოვთ

ყოვლად შემძლებელს ღმერთს, რომ ეს წმინდა ეკლესია ამიერიდან იყოს თქვენთვის წყაროდ სულიერის მადლისა, ნუგეშინის მცემლად, განსაწმენდლად და მაცხოვრებლად, და ეჭვიც არ არის ამაში, რომ ყოვლად შემძლებელი და ყოვლად კეთილი ღმერთი უნუგეშოთ და უწყალოთ არ დაგვტოვებს ჩვენ არავითარს დროს. ახლა, ძმანო ჩემო, თქვენ ეკლესია უკვე დასრულებული გაქვსთ და მადლი ღვთისა და მკვიდრებულ არს მას შინა, მაგრამ, რათა ეკლესია თქვენთვის იქნეს სასარგებლო, თქვენ თქვენი მხრიდან განიზრახეთ და იფიქრეთ, თუ რა უნდა ქმნას ყოველმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, როგორ მოიხმაროს ეკლესია და როგორ უნდა იქცეოდეს მას შინა. — პირველათ ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს უნდა ჰქონდეს განუყრელად ეკლესიის სიყვარული, როგორც სულიერი საზრდოს მომცემისა. ეს სიყვარული უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ ქრისტიანი კაცი ყოველთვის შეძლებისდაგვარად უნდა შრომობდეს ეკლესიის განმშენებლისათვის, როგორც ღვთის სახლისა, ყოველ კვირა და უქმ დღეებზე დადიოდეს ეკლესიაში წირვა-ლოცვის მოსასმენლად ყურადღებით და ღმობიერებით. — მეორეთ ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი უნდა აღასრულებდეს წმინდა საიდუმლოებას ეკლესიიდან მოწოდებულს გულისმოდგინეთ, შეგნებულათ და არა გარეგნულ მხრით და ძალდატანებით. უმეტეს წმიდა საიდუმლო ზიარებას მიიღებდეს ყოველ წლობით, რათა განიწმიდოს თავი თვისი და შეუდგეს ნამდვილ ქვეშაირტ მცხოვრებას.

ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა შევნიშნო, რომ ამ ბოლო დროს ხალხს ნამეტნათ გაუკრილდა გული ეკლესიაზე. საზოგადოთ ეკლესიის გამშენებებზე კუტას ფიქრობენ და არ მიაჩნიათ სავალდებულოთ, როგორც სხვა ქვეყნებში: წირვა ღვთისა ისმენენ ძლიერ ძვირათ, ასე რომ ეკლესიაში ნახავთ ხალხს მარტო დიდ დღესასწაულებზე, როგორც არის აღდგომა ახალი წელიწადი, ქრისტეს შობა და ეკლესიის დღესასწაული, როგორც მაგალითად დღეს არის

აქ.—წმიდა საიდუმლოს აღასრულებენ გარეგნულათ რაიმე სხვა მოსაზრებით, რაც შეეხება წმიდა საიდუმლო ზიარებას, არის მომეტებული ნაწილი მრევლისა, რომელსაც სულ არ მიაჩნია სავალდებულოთ, რომ მიიღოს წმიდა საიდუმლო ზიარება, ასე რომ სინანულის დღეებში, როგორც არის დიდი მარხვა, მარიამობის მარხვა და სხ., ეკლესიაში დაინახავთ სულ კოტა მლოცველებს; არა თუ ახალგაზდებს ვერ დაინახავთ ეკლესიაში, არამედ ვერც იმ მოხუცებულებს, რომლებსაც ცალი ფეხისამარეში უდგიათ. ეკლესიაში დგომა და შიგწირვა ლოკის მოსმენა გულმოდგინეთ, ხომ ჩვენში ძლიერ არა სასურველ ნიადაგზეა დაყენებული; ნახავთ ხშირად სახარების კითხვაში ან მრთელი წირვის განმავლობაში ქრისტიანულ წოდებული კაცი ეკლესიის გაღვივებაში თავის თავს გაართობს ტკბილი მუსიკით და თამბაქოს წვეთ, როგორც მაგალითად

დღეს აქ ამ ეკლესიის გაღვივებაში და არ ფიქრობს იმაზე თუ რა ხიება შიგნით ეკლესიაში. ძმანო ჩემო, როგორც თქვენი ეკლესია განახლებულია და დღეს მათე გამოვიდა მაღლი ღვთისა, ისე ვსთხოვ ყოველად შემძლებელს ღმერთს, თქვენზეც გადმოვიდეს მაღლი ღვთისა, თქვენც განახლდეთ სულიერად, ყოველივე თქვენი მოვალეობა ეკლესიის წინაშე აგესრულებით ისე, როგორც გულმოდგინედ აღასრულებდენ ჩვენი ძველები, ვისურვებ და ვსთხოვ ქრისტე მაცხოვარს თქვენი კეთილნი საქანი ისე განთლებულიყოს, რომ მისაბაძი შექნილიყოს და ღვთის სადიდებელი, როგორც იტყვის უფალი: ესრეთ ბრწყინავდენ ნათელი თქვენი თქვენთ წინაშე ყაცთა, რათა იხილონ საქმენი თქვენი კეთილნი და აღიდებდენ მამსა თქვენა ზეცათასა.

დავ. კ. ბერიძე.

## მგოსნის კვენესა.

მგოსნის ფიქრთა ნაპერწკალი, ცათ ტყორცნილი, აგზნებული, გულს ჩაეკრა შობის ვარსკვლავს, ვით უმწიკვლო სიყვარული.

შემდეგ გაჰყვა სხივთა ლეჩაქს, კვალ-კვალ სდია შუქთა მფენელს, დაუსერა მისებრ გული ეთერის ზღვას თვალ-უწვდენელს.

ბოლოს შედრკა... აქ ის უკვე სწვდა ცის კიდეს, „არსის საზღვარს“, — სად მყაყე ტბა დაუგუბავს ადამის ძეთ კრემლისა ღვარს!

„და მოესმა: „ჰი, ოცნება, სად მიფრინავ, საით მიჰქრი?“

შესდექ!... შენებრ სხივოსანი მიმსხვერპლია ბევრი ფიქრი.

ტყულა ცდილობ შენ ზე-კაცის გამოძებნო სარეცელი:

„ის“ ამაღლდა... ადამის ძეთ დაუტოვა ეგ სოფელი“.

ტყულა ცდილობ... ვერ გახდები მონაწილე „მოგვთა ბედის“.

ვერ იხილო... ვერ ნათელ-ჰყო „ზრახვით ნასკვი“ შემოქმედის.

შენებრ სხვათაც ბევრს უცდია, დაუღერია კრემლი ცხარე,

მაგრამ... ცდამ ცდათ ჩაიარა: ვერ იხილეს „უცხო მხარე“.

ეს სოფელი სულ სხვა არის: აქა სუფევს იგი „სრული“;

შენ-კი წილათ „ეგ“ გარგუნეს, დრო და სივრცით შეზღუდული...

მაშ, განშორდი შობის ვარსკვლავს, ისეე მიწას დაუბრუნდი,

და, რომ ეგ ცდა ამოა, სხვებსაც ამცნე, შენც დარწმუნდი!...

ხმა დადუმდა... და მგოსნის ფიქრს გარს სევდის ზღვა შემოერტყა,

მოსწყდა იგი შობის ვარსკვლავს და... მიწაზე დაებერტყა,

და, ოდეს-ღაც მომლოდნელი იმ.., იმ ნეტარ მოგვთა ბედის, —

აღარ ცდილობს გამოანახოს ზრახვით ნასკვი შემოქმედის!

ის დამწუხრდა! და ძალის-ძალ თუ კისკისებს იგი დღესა,

ნუ ენდობით თქვენ ამ კისკისს: ეს კენესა... მგოსნის კენესა“...

სვე. სვედიზელი

**ყოველ-კვირეული ჰროჯინციელისა  
მღვდელი, როგორც მღვდელი და მწყემსი.**  
(ნათარგმნი).

„ჰოი, მწყემსნო ისრაილისანო, ნუ აძოებ-  
ნა მწყემსნი თავთა თვისთა, არა ცხოვარ-  
თა აძოებნა მწყემსნი. აჰა სძესა შესჰამო, და  
მატყლთა შეიმოსთ, და პოხილთა დაჰკლავთ,  
ცხოვართა ჩემთა არა აძოებთ. მოუძღურებუ-  
ლი არ განაძლიერეთ, და სნეული არ განა-  
ძრთელეთ, და შემუსვრილი არ შეჰკართ, და  
ბოროტად მყოფსა არა უსხეულ საქმეთ, და  
ცთომილი არ მოაქციეთ, და წარწყმედული არ  
მოიძიეთ, და ძლიერი იქმნეთ შრომით, და სი-  
მტკიცით სწუართენით იგინი და ლაღობით.  
და განიბნინეს ცხოვარნი ჩემნი, არ ყოფისათვის  
მწყემსთასა, და იქმნეს დასაჰმელ ყოველთა  
მხეტთა ველისათა და განითესნეს, და შესცოტეს  
ცხოვარნი ჩემნი ყოველსა ზედა მთასა, და  
ყოველსა ზედა ბორცვსა მალალსა, და პირსა  
ზედა ყოველისა ქვეყანისასა განითესნეს ცხო-  
ვარნი ჩემნი, და არა იყო გამოძეხებელი და  
არცა მომჰქცეველი“ (ეზეკ. XXXIV, 3-6).

აი იგი წინასწარმეტყველი, მოვლენილი  
„სიტყვითა დასაწვავად გულთა კაცთა“, იგი  
ცეცხლივით, მთლად მწველი მხილება. რა  
სიტყვებია მაგრამ დახეთ როგორ სწვა-  
ვენ იგინი? თითქმის შეუძლებელია წარმო-  
დგენა ნამეტანის ძლიერისა, ნამეტანის მკლე-  
ლის და მომსვრელი მხილებისა ასეთი მკირე  
სიტყვების დახარჯვით.

ჩვენ, ჩვეულნი ვართ თვისის სამღვდე-  
ლოების მხილებსა, შეიძლება ითქვას, რომ  
არცთი სხვა წოდება ამ რიგად დამცილებუ-  
ლი ყოველ მხრით არსად არაა, თაკიდაჲ,  
ბოლოდან, და თვით სამღვდელოების შორი-  
საც კი. ეინაა რომ ქვას არა დაჰკრებდეს ამ  
„წოდებათა წოდებასა“, მხოლოდ ზარმაკმა  
იქნება შეიკავოს ენა იმის დასამცილებლად. გა-  
ნათლებულ სფერებში სამღვდელოებასა და მის  
წარმომადგენლების კირდვა ჩვეულებრივი მოე-  
ლენაა და ლიტერატურაში ხომ ცალკე ბეღე-

ტრისტული თანრია შემდგარი, მხილებითი მო-  
თხრობა სამღვდელოების ცხოვრებიდან.

მიუხედავად ამისა ყველა ესრეთი მხილე-  
ბანი — ზეპირი ლიტერატურული, ეკერძო და  
საზოგადოებრივი — ზემოხსენებულ მხილებასთან  
შედარებით სუსტნი არიან. გული გისქდება  
ამ მხილების წაკითხვის დროს და უნებურად  
გინდა წარმოიდგინო, როგორ უნდა იმოქმე-  
დონ ამ გაეარვარებულმა სიტყვებმა მასზედ,  
ვინც მწყემსის ხარისხს ატარებს. იქვე შენ  
თავსვე მიუგებ, რომ უკეთუ მწყემსს, ოღნავ  
არის მაინც, სინიღისის ნატამალი გააჩნია, იგი  
მაინც, რაც უნდა წესიერი და კეთილ-სინიდი-  
სიერი იყოს, რაც უნდა წმინდა და მართალი  
იყოს თვისის მოვალეობის წინაშე, წინასწარ-  
მეტყველის ეს სიტყვები მაინც ყოველთვის,  
რამდენჯერაც უნდა წაკითხოს, უსათუოდ  
მის სულიერ სიმშვიდეს შეარყევს, შეაშფო-  
თებს.

წინასწარმეტყველი თვისის სიტყვებით  
მიჰმართავს ისრაელების მწყემსთ, მაგრამ, ასე  
გეგონებათ, თითქოს ჩვენ დროშია იგინი წარ-  
მოთქმული ჩვენის სამღვდელოებისადმი. ისეთი  
შედარებაა.

„აჰა სძესა შესჰამო, და მატყლთა შეი-  
მოსთ, და პოხილთა დაჰკლავთ, ცხოვართა ჩემ-  
თა არა აძოებთ. მოუძღურებული არ განაძლი-  
ერეთ და სნეული არა განაძლიერეთ, და სნეუ-  
ლი არ განაძრთელეთ“... ეს ხომ სწორეთ  
ისაა, რაშიაც ამხილებენ ჩვენს სამღვდელოე-  
ბას, ამა დაუკვირდით უკანასკნელ სიტყვებს  
წინასწარმეტყველისას ცხვრების გაბნევის შე-  
სახებ! „და განიბნინეს ცხოვარნი ჩემნი, არ  
ყოფისათვის მწყემსთასა, და იქმნეს დასაჰმელ  
ყოველთა მხეტთა ველისათა და განითესნეს,  
და შესცოტეს ცხოვარნი ჩემნი ყოველსა ზედა  
მთასა, და ყოველსა ზედა ბორცვსა მალალსა  
და პირსა ზედა ყოველისა ქვეყანისასა განი-  
თესნეს ცხოვარნი ჩემნი, და არა იყო გამოძე-  
ხებელი, და არცა მომჰქცეველი“.

აი ესაა ეკლესიის „დანგრევა“, რომელ-  
ზედაც უაპარაკობენ ჩვენში ამ უკანასკნელ  
დროს: სამწყსოს სულიერი ბოდილო-ბეტილი.

მტველის ცხოვრების დაცვა, ეკლესიისაგან ლტოლვა — ექსორია, უსახომო მწვანელობის გაურცვლება. არა, ასე გგონიათ ეს გუშინდელი ან დღევანდელი ნაამბობია და არა ორისამი ათასი წლის წინათ. რა საჭიროა, ჩემის ფიქრით, აქ mutatis mutandis, არასდერი, ვრთის შეხედვით, არ უნდა შეიცვალოს წინასწარმეტყველის სიტყვებში და ერთიანათ შიანწეროს კაცმა თანამედროვე რუსეთის ეკლესიის და სამღვდლოების მდგომარეობას.

მე რომ მკითხოს კაცმა წინასწარმეტყველი ეხეციელი ჩვენს დროში, რომ ყოფილიყო და ისრაელების კი არა, რუსის სამღვდლოებასთან რომ საქმე ჰქონოდა, ამდენს სიტყვებს არ დახარჯავდა, არ გაიმეორებდა ასეთს ცენტლის მფრქვეველს, მრისხანე სიტყვებს. რისთვის? მისთვის რომ თუმცა ჩვენს სამღვდლოებას ბევრი ნაკლი და ცოდვა აქვს, რისხვაკრულვის ღირსია, მაგრამ საშუალო რუსის მღვდელს მაინც სრულიად არ ეხება, იმ მღვდელს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, რომელიცაა ისტორიულად ჩამოყალიბებული ლიტერატურაში, რომელსაც ჩვენ დაუკავშირდით და რომელიც, რუსული ჩვეულებისამებრ, შეეყვარეთ.

ამ ნაირად, ჩემის ფიქრით, წინასწარმეტყველის სასტიკი მხილება თუ ისრაილის მწყემსებზე ზედ გამოკრილი იყო, რუსის სამღვდლოება სრულიადაც არ ეხებოდა. რომ ეს ასეა, ამას შემდეგის გამოცდილებით დაეამტყიცებ. ავტორს მოჰყავს მაგაღეთები სხვადასხვა მღვდელთა ცხოვრებიდან და დასასრულ შემდეგს დაასტენს. უმეტესი ნაწილი რუსის მღვდლებისა მწყემსები კი არა მხოლოდ მღვდლები არიან და ეს წარმოსდგება იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ მღვდლათ ხელდასხმის დროს მისთვის კი არ ზრუნავენ, რომ ხელდასხმული ამასთანავე ადამიანი იყოს, ისეთი, რომელსაც შეუძლია მწყემსის მოვალეობა ასრულოს. უმეტეს ნაწილად კმაყოფილებიან მხოლოდ სპეციალურის განათლების ცენტრით (სემინარიის ატესტატი), ჩანდისხან უურადლებას აქცევენ სამღვდლო კანდიდატის

ცხოვრებას, ყოფაქცევას და სულიერ განწყობილებას, მაგრამ არისოდეს არ დაეძებენ იმის, ასე ვსთქვათ, **სამწყემსო ნიჭს**.

შეიძლება სთქვან, რომ იგივე მადლი, რომელიც გადადის ხელდასხმის დროს და რომელსაც ადამიანი მღვდლად გამოჰყავს, იმავე დროს მწყემსობასაც ანიჭებს მასო. ამაზე შემდეგი უნდა მოგახსენოთ.

ქრისტიანულის მსოფლმხედველობით ადამიანის ქვეყნად საბოლოო მიზანია ცხოვება თვისის სულისა. (ვისაც ეს ტერმინოლოგია არ მოსწონს, მას შეუძლია თანამედროვე ეროვნულით შესცვალოს იგი, ამით საქმე არსებითად არ შეიცვლება) კაცის ცხოვება შესაძლებელია ორ ნაირის ძალების ერთმანეთის დამოკიდებულებით: ბუნებრივისა და არა ბუნებრივის ძალებისა.

ბუნებრივი ძალებია პირადი ძალები თვით საცხოვრებელისა ადამიანისა, რომელსაც იგი შეიძენს საკუთარი სულიერი ზნეობრივი ბუნების წიაღიდან: ნების ძალა ამა ქვეყნის მატურებასთან ბრძოლაში და საკუთარის ბუნების ცოდვითი ლტოლილებასთან, მისწრაფებანი განახორციელოს თავის ცხოვრებაში დადებითი მხარეები ქრისტეს სიმათლისა.

არა ბუნებრივი ძალებია არა პირადული — საიდუმლო, მადლის ძალები, რომელთაც თვითეული ქრისტიანე ეკლესიისა და ეკლესიურის საიდუმლოებისაგან იძენს.

ამა თუ იმ შემთხვევაში ადამიანისათვის საჭიროა მღვდელი. როდესაც ადამიანის ცხოვრება სრულდება საიდუმლო მადლით, მაშინ იქ საჭიროებს მღვდელი, როგორც საკურთხევის მსახური, შესაიდუმლე, შუამდგომელი ღმერთსა და კაცს შორის, როგორც ისეთი პირი, რომელიც შემოსილია საიდუმლოებითი უფლებით, შეკვრისა და განხსნისა. ესაა მღვდლის მოვალეობის ერთი მხარე, — ნამდვილი მღვდლური მოვალეობა აქ მღვდელი სრულიად განსაკუთრებული არსებაა, სხვა ნაირი არსება ორს სამზღვარს შორის მდგომი — ბუნებრივისა და მადლითისა.

როდესაც კაცი ცხოვდება მისი სული-

რი-ზნეობრივი ბუნების ძალით და საშუალებით, მაშინ მისთვის მღვდელი საქიროა როგორც მწყემსი, ე. ი. იგი მისთვის შეშწევა და ხელმძღვანელი ცხოვნების საქმეში. ესაა მღვდლის მოვალეობის მეორე მხარე — მწყემსური მოვალეობა.

ყველა ადამიანები ორ უთანასწორო ჯგუფად იყოფებიან: ძლიერი და სუსტი, დიდი და პატარანი, გმირნი და ბრბო, უფლებების შექონენი და ქვეშევრდომნი ეს ორი ჯგუფი ქრისტიანული საზოგადოებაშია ცარის, მხოლოდ სახელად სხვა ეწოდება: მწყემსნი და საშწესო, ილუმენნი და ძმანი. ძლიერი კაცი თავის თავად ცხოვნდება (მწირი, მეუღაბნოე), და მისთვის გარდა პირადი ძალისა სრულიად საკმაოა საიდუმლოებაში გადმოცემული მადლითი შეშწეობა. სუსტს, საშვალაო კაცს, ამ შეშწეობის გარდა, სჭირია კიდევ ჩვეულებრივი და უფრო ძლიერი კაცის შეშწეობა საცხოვნებლად. იმას სჭირია ისეთი კაცი, რომელსაც იგი მიბაძავს, რომელსაც იგი კვალ და კვალ მიჰყვება: რომელზედაც იგი დაეყრდნობა, რომელშიაც იგი ჰპოებს მაშველს იქვისა, მწუხარებისა და დაკემის დროს. ასეთი კაცი უნდა იყოს მწყემსი.

მღვდლის და მწყემსის მოვალეობა განსხვავდება, ერთი მეორესაგან ისე, როგორც ძალი და ნიქი მათი სხვადასხვაა.

მღვდლის მოვალეობა არსებითად მადლითია; ამის დაგვარად ის ძალები, რომელიც ამ მოვალეობის ასასრულებლათაა საქირო, საიდუმლოებითა და მღვდელი მიიღებს მათ საიდუმლოთ, სასწაულებრივ ხელ-დასხმის აქტში.

მწყემსური მოვალეობა, პირ აქეთ კი ბუნებრივი, შეგნებითი, პირადაულია, ასეთივე ხასიათისაა ის ძალები, რომელნიც მას სჭირია ამ მოვალეობის ასასრულებლად და მღვდელი მას არსაიღამ არ ღებულობს. იგი უნდა იყოს თვით მასში, მისვე ბუნებაში.

მღვდლად აკურთხებენ, მწყემსები კი იბადებიან, ისე როგორც პოეტები, ორატორები იბადებიან.

არაფისთვის სადავო სავანი არაა ის, რომ

მღვდელი და მწყემსი უნდა ერთს ადამიანში იყოს მოქცეული. მღვდლური და მწყემსური მოვალეობის დაყოფვა სხვადასხვა პირებში პრაქტიკულად მოუხერხებელი იქნებოდა. საკვირველი არ იქნებოდა, რომ სადასარგებოდ ერთ კაცთან წასულიყვნენ და ცოდვების განსხნა კი მეორესაგან მიელოთ, ანუ თუნდა ერთს ეწირა და მეორეს ექადაგნა, ან მღვდელს.

ამაირად: 1) მღვდლის მადლი, როგორც რაიმე სტიქიური, — პირაუნების ვარშე, ვადმოდის ხელ-დასხმის აქტში ყველა ადამიანზე 2) მეორეს მხრით, საქიროა, რომ მღვდლური და მწყემსური მოვალეობანი ერთსა და იმავე პირში იყოს მოთავსებული. ე. ი. რომ თვითვეული მღვდელი იმავე დროს მწყემსიც იყოს.

აქედან თავის თავად ასეთი დასკვნა გამოდის: საქიროა ხელ დასხმის თვითვეულ კერძო შემთხვევაში ხელ-დასხმული იყოს ადამიანი, ნიქისა და ძალის მექნე, მწყემსის მოვალეობის ასასრულებლად, ისე როგორც ეს ესმის წინასწარმეტყველს ეხეკიელს.

უწინარეს ყოვლისა უნდა მოიძებნოს ჯერ მწყემსი და მერშე ის უნდა გამოვიდეს მღვდელი; უნდა გვახსოვდეს ყოველთვის, რომ ქრისტემ ჯერ აარჩია მოციქულები და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ, ზეცად ამაღლების შემდეგ, გამოუგზავნა მათ სული წმიდა.

კ. ჭაქელი.

#### ათონელ ბერების საქმე.

უწ. სინოდმა გადასწყვიტა ყოველი მხრივ განიხილოს ათონის რუსის ბერების საქმე. ზოგიერთი დღეისმეტყველები იმ აზრს ადვიან, რომ, რადგან საქმე ახალ მწვალებლობაშია, რომელიც ეხება არა მარტო რუსეთის ეკლესიას, როგორც მაგ. სტაროობოიადკობა, არამედ მსოფლიო მართლმადიდებლობას, ამიტომ ათონელ ბერების საქმე არ შეიძლება გადაწყვეტილ იქმნეს რუსეთის სინოდის მიერ, როგორც ათა კომპეტენტისა ამ საქმეში, არამედ მსოფლიო კრების, ან ადგილობრივ კრების მიერ მაინც.

მაგრამ კონსტანტინეპოლის პატრიარხატის რწმუნებულების თანდასწრებით.

ქვისკ. ნიკონი ძველ ათონსე.

არხიებისკოპოსმა ნიკონმა პასუხი გასცა ვაზ. „რუსკაია მოლვას“ წერილით ვაზ. „კოლოკოლში“, სადაც აცხადებს, რომ ათონზე ყოფნის დროს მან დაბეჭდა თავის „კეთილი სიტყვა“ ათონელ ძმებთან. მაგრამ ძმები ამ ფურცლებს ხვედენ და ყრიდენ, ხოლო ეპისკოპოსს უძახდენ მწვალებელს, იუდაგამე-მელს.

ვაზ. „ვეჩერნე ვრემია“ ეხლა იტყობინება, რომ ათონიდან მას მიუღია ერთი ცალი წიგნაკი, დაბეჭდილი სინოდის სტამბაში სინოდის ხარჯით. ავტორია ეპ. ნიკონი, უწ. სინოდის წევრი. ვაზეთი უარს აცხადებს წიგნაკის შინაარსის გამჟღავნებაზე და ამბობს, რომ მას სრულებით არ უკვირს, რომ ათონის მშვიდი ბერები უარს აცხადებდნენ ამ წიგნაკის წაკითხვაზე, რადგან იგი შეიცავს სულის ამღვრევ, საზიზღარ, მჭირდავ მოთხრობას შესახებ იესო ქრისტეს დაბადებისა და მისი ქვეყნიური ცხოვრებისა. ჩვენ, ამბობს „ვეჩ. ვრ.“ ვადაკვრით თქმაც, საზოგადო აზრებითაც ვადმოცემა არ შეგვიძლია მისი, რაც ეპ. ნიკონის წიგნაკში დაბეჭდილია.

შემდეგ ვეჩ. ვრ.“ ამბობს, რომ თუ ასეთი წიგნაკი ოფიციალურ სტამბაში არ დაბეჭდილიყო სინოდის წევრის მიერ, არამედ ვინმე კერძო პირის მიერ, წიგნაკი დიდი ხნიდან აკრძალული იქნებოდა და ავტორი 78 სტ. ძალით სამართალში მიცემული.

ორი მხედური მოქმედება.

ამ ცოტა ხანში რუსეთში მოხდა ორი მხედური მოქმედება, რომელსაც ბადალი არა ჰყავს მსოფლიო ისტორიაში. პონტივეთში ერთ სახლში გამოსწვეს ერთი ებრაელის შთელი ოჯახი, რომელიც შესდგებოდა რვა სულისაგან. მეორე მხედვის ამისი მოსდა პირიიტისის მახრაში სოფ. ვაპუსტინის მახლობლად, სადაც ჩარდახ-

ში გამოსწვეს 80 ახალგაზდა ქალიშვილი, რომლებიც მოსულიყენენ აქაურ შაქრის ქარხანაში სამუშევრად. ბოროტ მოქმედებს წინდაწინვე მიეღოთ ზომები, რომ ერთიც ვერ გადაჩენილიყო. აეკედათ კარები და ოთხივე კუთხით ცეცხლი მიეცათ. ხალხი იმ დროს შეიკრიბა, როცა ჩარდახი მთლათ ცეცხლში იყო. ისმოდა საშინელი გულის შემზარავი წივილი, რომელიც თანდათან სუსტდებოდა. 80 ქალიდგან არ გადაჩენილა არც ერთი — ყველანი დაიწვეს. მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ ადგილობრივ ახალგაზოობას ქარხნის გამგე ვერ შეურიგდა და ეს ოთხმოცი ქალიშვილი მუშა კივიდან მოიყვანა. ადგილობრივმა ახალგაზდობამ შური იძია და ამას მოჰყვა ზემომოყვანილი შემადრწუნებელი ამბავი.

ვაზ. „P. C. II.“ მოყავს ეს ამბები და დასძენს: „სინამდვილემწვეგაჩევი ისეთ რამეებს, რომ გგონია აღარ არის ისეთი ბოროტება ქვეყანაზე, რაც კაცისაგან მოსალოდნელი არ იყოს. ოცი წლის წინეთ ასეთი მტკიცება ცილის წამებათ ჩაითვლებოდა, სახალხო განათლება იმ დროს უფრო დაბლა იდგა. ვიდრე ეხლა, არც გვქონდა სხვადასხვა, „თავისუფლებები“, მათზე ლაპარაკიც კი აკრძალული იყო, მაგრამ არ ყოფილა ასეთი საზოგადო სასოწარკვეთილება, ასეთი ძალმომრეობა, ასეთი უსირცხვილო აღიარება თვითნებობისა. საზოგადო სამართალს ამჯობინებენ თავის საკუთარ გასამართლებას, — და განა შეიძლება სხვანაირათ, როცა ამავე გზას ირჩევენ ისინიც. ვინც მოწოდებულია კანონების შესაქმნელად? პარლამენტორების ღუფლებსა და ქალიშვილების დაწვას შუა კაპუსტინში დიდი მანძილია... მაგრამ ჩაუკვირდით კარგათ და თქვენ დაინახეთ, რომ ეს ამ ზომამდე სხვადასხვა გამოცხადება თვითნებობისა და ეგოიზმისა შეცავს მირტულია ერთი უხილავი ძაფით“.

რომ თანამედროვე ბოღვის არ იყოს აყოლილი ხსენებული ვაზეთი, იტყოდა საოწმუნოება დაეცა, ღვთის შიში აღარ არის და მტკიცაც უნდა მოველოდეთო.

# სინოდის ბიუჯეტის განხილვის შედეგი.

სახ. სათათბირომ სინოდის მიერ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვის განხილვის შემდეგ გამოიტანა შემდეგ რეზოლუცია,

1) უწყებამ უნდა გამოძებნოს სხვა წყაროები სინოდის დაწესებულებათა ჩინოვნიკების დამატებითი ჯამაგირების შესავსებლათ, რადგან სპეციალური საშეღებანი უ. სინოდისა, რომელიც დღეს ამ საგანს ხმარდება, უნდა მოხმარდეს თავის დანიშნულებისამებრ ბევრ სხვა საეკლესიო საჭიროებას;

2) უწყებამ უნდა შემოიტანოს სახ. სათათბიროში ამ მოკლე ხანში და არა უგვიანეს შვიდ სესსისა ერთ და იმავე დროს მოხსენება 1) მართლმადიდებელ სამრევლოს მოწესრიგებისა და 2) სამღვდლოების ჯამაგირების ყოველ წლიურ კრედიტის გადიდებისა.

3) უწყებამ უნდა შეკრიბოს დაწერილებითი სტატისტიკური ცნობები სამრევლოს მატერიალურ მდგომარეობის შესახებ.

4) უწყებამ უნდა მიიღოს ზომები, რომ სამღვდლოების კრებებში მნათეების და სხვა ხალხის წარმომადგენლების მეტმა რიცხვმა მიიღოს მონაწილეობა სამღვდლოების წარმომადგენელთა, რაოდენობის მიხედვით, რადგან მთელი სიმძიმე საეკლესიო გადასახადებისა, რომელსაც აწესებენ ამ კრებებზე მთელი თავის სიმძიმით ხალხს აწევბა კისერზე; აგრეთვე უნდა საჩქაროთ შეიმუშაოს ერთნაირი კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ საეპარქიო და საბლალოჩინო კრებების მოქმედებას;

5) უწყებამ უნდა განიხილოს საკითხი შესახებ ეკლესიების დაბეგვრისა სასულიერო სასწავლებლების შესახებ.

6) უწყებამ უნდა განიხილოს საკითხი შესახებ ეკლესიების დაბეგვრისა სემინარიების შესახებ, ეკლესიების ამ ბევრისაგან განთავისუფლებისა და სემინარიის და მისი მასწავლებლების ხარჯისა და პენსიის სახაზინოთ მიღებისა.

7) უწყებამ უნდა შეკრიბოს ცნობები ეპარხიებში ეკლესიების შემოსავლის შესახებ და ყველა გადასახადების შესახებ, რომლებიც ხდება ეკლესიებს სასწავლებლების შესახებ და სხვა საეპარხიო საჭიროებისათვის მისი განაწილებით ცალკე კატეგორიებით დანიშნულებისამებრ და

8) უწყებამ უნდა გამოარკვიოს რაოდენობა იმ ხარჯებისა (მაზრბზე), რაც გადის საეკლესიო შრომების შესახებ, რომლებიც შესულა საშკოლო ბაღში და ხაზინიდან ღებულობს შემწეობას. მასწავლებლების შესახებ.

ასე დასრულდა სათათბიროს კამათი სინოდის ხარჯთაღრიცხვის შესახებ. სამღვდლოების ჯამაგირს არა მომატებია რა. ეს საკითხი ხელმეორეთ უნდა გაიჩინოს სახ. სათათბიროს შემოდგომის სესიაში. როგორც მკითხველი დაინახავდა სათათფიროს წევრების კამათიდან, სათათბირო სრულებით წინააღმდეგი არ არის, რომ სამღვდლოებას მომეტებული ჯამაგირი დაენიშნოს.

## იაპონელების ზნეობრივი სიზაქიზე.

იაპონიასთან ომის დროს ყურები გამოგვიქექეს იაპონელების ზნეობრივ სიზაქიზის შესახებ ყვირილით. რაღაც ბედნიერ არაბეთად წარმოგვიდგინეს მაშინ ეს საოცნებო მხარე. მაგრამ, როგორც დღეს ვრწმუნდებით, იაპონელებიც ადამიანები ყოფილან და არ ყოფილან მოკლებული ადამიანურ ბიწერებას. ვაზ. „ზაკავაზიში“ ვკითხულობთ: „ყავახანების რიცხვი იაპონიაში გამრავლდა. ტოკიოში, მაგალითად, 1898 წ. მათი რიცხვი 422 იყო, ხოლო 1908-ში უკვე 843; იმავე ხნის განმავლობაში საროსკიპო სახლები 279-დან 389-დღე გაიზარდა... უმეტესი ნაწილი ქურდობისა, მძარცველობისა და მკვლელობისა გეიშების (ქალების) საშუალებით ან მათი პირდაპირი მოქმედებით ხდება. იაპონურ ვაზ. Japan Mail-ში მოყვანილ სტატისტიკურ ცნობებიდან ვტყობილობთ, რომ

იაპონიაში როსკიობას სამი მილიონი ქალი ეწევა.

იაპონელების აზრით როსკიობა არაფერი სათაჯლო საქმე არ არის. ამიტომ ძალიან ხშირათ ქრემები ხასებათ აქირავენ თავეიანთ ცოლებს, მშობლები ყიდიან თავეიანთ ქალიშვილებს, სასიძოვები აქეზებენ თავეის საცოლოებს საროსკიოთ, რომ მზითევი შეიკრიბონ.

როგორც როსკიობა იზრდება, ისე იზრდება ცოცხალი საქონლით ვაჭრობაც. იაპონიდან ყოველ წლობით თურმე აურაცხელი ქალები გაჰყავთ მანჯურიაში და სხვა ქვეყნებში, სადაც იაპონიის ემიგრაცია დაბრკოლებას არ განიცდის.

**ათი მცნების ცოდნა.** რა ზომ ზედმიწევნით იცის ჩვენმა მოწინავე თაობამ ათი მცნება, ცხადად სჩანს ჩვენი ცნობილი კრიტიკოსის ბ. კ. აბაშიძის წერილიდან, რომელიც მოთავესებულია მდგომარე წლის „სახ. გაზეთის“ № 976. აქ ბ. კიტა მეუღლეობის ერთგულების დარღვევაში მეცხრე მცნების დარღვევას ხედავს. მეცხრე მცნება კი ასე უნდა იკითხებოდეს: „არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა“... არც გასაკვირვალაა ჯაჯუ ჯორჯიკიას სქესობრივმა ფილოსოფიამ გზა აუბნოს ადამიანს. ბ. კიტას ძალიან მოსწონს ჯაჯუსთან ერთად სქესობრივი მოთხოვნების სფეროში — ახალი ხანა, როცა ამ ქვეყნა გრძნობის საფარფაშოთ გახდება მთელი ქვეყნიერება. ან კი რაღა საქირო იქნება მაშინ საღვთო მცნებები? რაც უფრო ადრე დავივიწყებთ, მით უკეთესი. აფსუს, ადამიანო, ხატად და მსგავსად ღვთისა შექმნილო! რა განსხვავებას ხედავ მკითხველო ამ ჯაჯუსა და იაპონურ სქესობრივ ფილოსოფიას შორის?

## მოწერილი ამბები.

### წერილი კლდეითდან.

ბნო რედაქტორო უმორჩილესად მთხოვენილი ვარ, რათა ადგილი დაუთმოთ ჩემს წერილს თქვენს პატივცემულს ჟურნალში.

უპატრონო ქვეყანას ეშმაკები დაეპატრო-

ნენო, რომ არის ნათქვამი სწორედ ასე დაემართა სოფ. კლდეეთის მცხოვრებთ. არც ერთი კუთხე არა მგონია იყოს ისე მიუხედავით ყოველივე მხრივ, როგორც ეს სოფელი არის. ძალიან ბევრს ნახავთ ამ სოფელში, რომელთაც წირვა ლოცვა რვა წლის განმავლობაში სულაც არ მოუსმენია. ახალგაზრდებს კი რომელნიც ამ ხნის განმავლობაში დაბადებულან და აღზრდილან სულ არ გაეგებათ რა არის წირვა-ლოცვა და ან ზიარება. ყველა ეს არის შედეგი შემდეგი მიზეზების: ზემო ხსენებული სოფელი განიყოფება ორ ნაწილად — ზემო და ქვემო კლდეეთი. ზემო კლდეეთში იყო წმ. გიორგის ეკლესია, ქვევით კი ზედ მიწერილი საკვირაო ეკლესია. ერთხელ ამ სოფელს ელირსა მათი მიუღებების ლეონიდის მობრძანება. ზედ მიწერილი ეკლესია სიპატარავის გამო დახურა და ახლის აშენება უბრძანა ხალხს, „შტატის“ კი შეკეთება. განვლო რამოდენიმე ხანმა მას შემდეგ. ზემო კლდეეთის მცხოვრებმაც მოინდომეს ახლის აშენება, ძველი დაანგრის და ახლის ასაშენებლად გაეცეს.

რაოდენიმე ხნის შემდეგ მოიჯარადრემ მოატყუა, სადღაც დაიკარგა და აღებული ფულიც შექამა. ამის შემდეგ ზოგიერთმა წირვა-ლოცვის მოყვარულმა პირებმა მოინდომეს საშუალო ალაგას ახალი ეკლესიის აგება და ორივე მხარეების შეერთება. მაგრამ ხალხის ჯიუტობამ აქაც იჩინა თავი და მღვდლის მეთაურობით გადაწყვიტეს ძველს ალაგს აშენება, დარჩა ისევ გაყოფილი ერთი სოფელი ორად. ქვედა კუთხის ხალხმაც დაიწყო ეკლესიის შენება და ერთი წლის განმავლობაში ჩინებული ეკლესია ააშენა. მორთეს, მოაწყვეს ყოველი მხრივ და, როდესაც მზათ იყო, რომ უნდა ეკურთხებიათ, წინაღობებში ხალხმა დილით, ერთ დღეს დაინახა წვა-დაგვით და ათასი გაქირვებით ეკლესია, ცეცხლის ალში გახვეული. ყველას თავხარი დასცა ამ მოულოდნელმა უბედურობამ. ოცი წუთის განმავლობაში უკვე აღარ ეტყობოდა თუ იქ რამოდენიმე წუთის წინეთ ეკლესია იყო. ყოველი მხრივ მოისმოდა ხალხის ტირილ-ვივილი. გამწარებულნი მიბრბო-

დენ საშველად, მაგრამ მისვლამდის უკვე ცეცხლი ჩაქრა და ეკლესიაც ფერფლად აქცია. ხალხი რომ მივიდა იქ დაუხვდა მღვდელი ყიფშიძე, დიაკონი ვარდოსანიძე და „სტაროსტა“ თურმანიძე.

დილით პანაშვიდი გადაეხადათ მიცვალებულისათვის და ეკლესიის კარები რომ გამოეგდოთ ცეცხლიც გაჩენილიყო, ხალხი რომ მიცვინდა, მღვდელს და დაუწყეს მუქრობა, სთქვი ვინ ქნა, თორემ ეს არის უნდა მოკლათო მან სთქვა, რომ ქუდი დამრჩა ეკლესიაში, დიაკონი შევეჩანე გამოსატანათ, გამოვიდა და ცეცხლიც გაჩნდაო. ამის შემდეგ შეიქნა გამოძიება, დაკითხვა, მაგრამ მალე ყველა ჩაჩუმდა. გამოძიება-გამოძიებათ დარჩა და საწყალი ხალხი, რომელიც დღითი დღე ელოდა წირვა-ლოცვის მოსმენას, ვინ იცის კიდევ სანამდის იქნება ასე ყოველი მხრივ უყურადღებოთ დატოვებული.

**ზესტაფონელი.**

**წერილი საგეგმროდან.**

მრავალ მანვნე ჩვეულებათა წყალობით ისედაც გადატაკებული გლეხობა დაღუპვისაკენ მიექანება. საზოგადო ტკივილების მიზეზები მრავარგვარია, ხოლო მე აქ ვიღებ ერთ მხარეს. ხალხის ძვალსა და რბილშია გამჯდარი. მაგ., „მილოცვიან ქორწილი“, „ქამიანი ტირილი“, „საწლო და საორმოცო გამოტირალი“, მიცვალებულთათვის კელაპტარების მიტანა“

უიმედო, მუდმივ მუშაობით ქანც გაწყვეტილი გლეხი, მთელი კვირა დაწანწალებს, რომ სადმე ორი-სამი მანეთი იშოვოს და მეზობელს ქორწილში მიულოცოს იმ დროს, როდესაც თითონ ქობში ცოლშვილი შიმშილისა თუ სიცივისაგან მწარედ უტირის... მაგრამ კაცის გული ზღვია... სიჩუმის ტბა... ის მხოლოდ მაშინ ამოძრავდება და როდესაც საშინელ ტკივილებს იგრძნობს!..

აი, ასეთი ტკივილები იგრძნო დღეს ხალხის მეტმა ნაწილმა, ის თან-და-თან ირკვევა და სასტიკ ომს უტყბადებს თავს დამაბნელებელ

ჩვეულებებს... რასაკვირველია, ბევრს ძლიერ ეუცხოება ასეთი (უეცარი) შეტაკება სხვა და სხვა მამაპაპეულ და ისტორიულ ჩვეულებებთან, მაგრამ საზოგადოების ერთი ნაწილი, შეგნებულად, მედგრად ებრძვის ასეთ ჩვეულებებს და მოწადინებულია მოსპოს იგინი, მაგრამ, საუბედუროდ, საზოგადოებაში ჩდება ერთი ჯგუფი, რომელიც ისევ ლოთობის და ძველ ჩვეულებათა მოტრფიალეა. ამ ჯგუფის წევრნი ურცხვად გაიძახიან, იმის მოსპობა, რაც ჩვენმა წინაპრებმა დააწესეს შეუძლებელია, არ ვარგაო და სხვ...

სასურველია ამ უკანასკნელმა ჯგუფმა შეიგნოს თავისი შეცდომა, შეიგნოს, რომ საჭიროა არა ხელის შეშლა და შეფერხება, არამედ ხელის შეწყობა ამ კეთილ საქმისათვის, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობის და საერთო მეზობლური კავშირის განსამტკიცებლათ და საზოგადოდ ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად საჭიროა უარყოფით ზემოქმედებულ ჩვეულებანი და მათ ნაცვლად შემოვიღოთ უფრო სასარგებლონი და სადღესიონი

**ვეჩე ზუგდიელი.**

**სოფელი ზუგდიდის-კახათი (სამეგრელო).**

კახათი დიდი სოფელია, ექვსას კომლზე მეტია და სულ გლეხობაა. მიმდინარე დროში იშვითია ისეთი სოფელი, დიდა იგი თუ პატარა, რომ ერთი რომელიმე ტიპის პირველდაწყებითი სასწავლებელი არ არსებობდეს მოწაფეთა საკმაო რიცხვით. სოფელ კახათშიაც არსებობს ერთი ორკლასიანი სკოლა, სამი სამასწავლებლო კომპლექტით, მაგრამ სამწუხაროდ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. წასრულ სასწავლო წლის დასაწყისში მოწაფეთა რიცხვი იყო ორას ოც და ათზე მეტი. მკითხველი ადვილად დამეთანხმება, რომ ამდენ მოსწავლესთან სამი მასწავლებელი ძნელად მიახწევს სასურველ მიზანს, ამიტომ საჭირო შეიქნა ზემოხსენებული სკოლის გაფართოება, ე. ი. ოთხ-კომპლექტიანად გადაკეთება. საჭირო ცნობის შემდეგ ზუგდიდის მაზრის განყოფილებამ ყურადღება მიაქცია ამ სკოლას და 1913 წლის

დასაწყისში გამოგზავნა მეოთხე მასწავლებელი, რომელსაც საზოგადოებისაგან მიეცა საჭირო ბინა და სხვა, ხოლო ჯამაგირის შესახებ მახრის განყოფილება შეამდგომლობდა, სადაც ჯერ იყო. ამით დასრულდა აღნიშნული სასწავლო წელი, რომლის დასასრულში სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ამ სკოლის მეოთხე კოპლექტის დამტკიცებაზე, თუ საზოგადოება ყოველ მხრივ არ შეინახავს მასწავლებელს, მთავრობა უარს ამბობს, და ჩვენ, ყოფილ მასწავლებელთ, წინადადება გვეძლევა სამი მასწავლებლის შესაფერი რიცხვის მეტი მოსწავლეები არ მივიღოთ. უამისოდაც აშკარაა, რომ თუ ის მეოთხე მასწავლებლის აღვლილი დაიხურა, მომავალ სექტემბერში მოწაფეების მიღება არ იქნება. ეს ამბავი შეიტყო მცხოვრებლებმა და აშფოთებულნი არიან; არ იციან ვის მიმართონ. რომ თვითონ დაიჭირავენ მასწავლებელი დაუჯდებათ 700 მანათზე მეტი, ხოლო ამოდენა თანხის გაღება ისედაც გაძვირებული მცხოვრებთათვის შეუძლებელია. ამიტომ საჭიროასათანადო მთავრობამ ყურადღება მიექციოს ამ გარემოებას და მოეშველოს ხალხს სახელმწიფო ჯამაგირით.

**მასწავ. ალექსანდრე პაპასკირი.**

### ს. ჯუნჯვათი (გურია).

კულტურულად სოფელი ჯუნჯვათი, სხვა სოფლებთან შედარებით, დაქვეითებული, ჩამორჩენილია; გარდა სამინისტრო სკოლისა აქ არ არსებობს არც ერთი კულტურული დაწესებულება. რა არის იმის მიზეზი, რომ ამ სოფლის მცხოვრები ჯერ კიდევ ძველმოწამლულ ატმოსფეროთ სუნთქვის, რომ ვერ შეუგნია, ვერ უსწავლია, რომ ყოველივე ახალი კარგის შემოდება მას წინ წასწევს როგორც გონებრივად ისე ქონებრივად? ამის უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩაითვალოს აქაურ ინტელიგენციის გულგრილობა, როგორც მღვდელი ისეთი ერთი, სწორედ ითქმის აქაურ ინტელიგენციაზე. აქაური ინტელიგენცია, თუმცა მათი რიცხვი მცირეა, არაერთარ საქმიანობას არ იჩენს

საერთო საქმეზე, ის მართო თავის კუკისთვის ცთილობს, მას არაერთარ საერთო საქმე არ მაინტერესებს. ადამიანი ცხოველს არ უნდა დაემსგავსოს, მას სხვისი მუცლის ტკივილს უნდა აწუხებდეს, რაიმე საერთო საქმე უნდა აინტერესებდეს.

სხვათა შორის აქ ორი ინტელიგენტი ქალი გვყავს, რომელთაც ნაცვლად სიკეთისა, ამას წინათ ხალხი ღაბრბიეს თითო აბაზი გადაახდევინეს, აქაო და ლატარიის ვთამაშობთ, ბეჭედს ვსდებთ სათამაშოთ რვა მანეთად ღირებულს. ბევრი გააბრიყვეს და ფულები გამოსტყუეს, მას შემდეგ ვადის აგერ ერთი წელიწადი ლატარიის არა ისმის რა. ფულები კი მიითვისეს. სთხოვენ ფული უკან დაგვიბრუნეთო, მარა ყურსაც არ იბერტყენ. საჭიროა ეს ქაბი დაუკვირდენ თავის საქციელს და მიხედნენ, რომ, თუ თავის ცოდნით ვერაფერს გვარგინ, ძარცვას რაღას გვემართლებიან. ჩვენ ვიცით სხვა სოფლებში ისეთი პირები, რომლებიც თავის დაუღალავ შრომით საერთო საქმეს გმირულად წინ უძღვიან: აარსებენ სამკითხველოებს, კომპერატიულ დაწესებულებებს და ათასგვარ კულტურულ დაწესებულებებს, მაგრამ სამწუხაროდ ასეთი პირები ჩვენ სოფელს ნაკლებად მოგპოვება. რაიმე საერთო საქმისთვის აქაურ მცხოვრებს ფულს ვერ გამოაღებებ და კერძო საქმისათვის კი, თუნდ საზარალოც იყოს, უკანასკნელ გროშს არ დაზოგავს. მაგალითად ფერისცვალების დღეს აქ იციან დიდი სტუმრიანობა, სმა ქეიფი, რისთვისაც ამ პატარა სოფელში დაიხარჯება საშვალო რიცხვით არა ნაკლებ ორი ათასი მანეთისა. დროა შევიგნოთ, რომ ეს სტუმრიანობა და ქეიფი, რასაც ხშირად არასასიამოვნო შედეგები მოყვება ხოლმე და რისთვისაც იხარჯება ამდენი ფული, საზარალოა და მვენებელი, რომ საჭიროა მათი მოსპობა, რომ უნჯობესია ეს ფულები გადავდოთ, უფრო სასარგებლო საქმიანობის, გამოვიწეროთ ეურნალ-გაზეთები და დაეაარსოთ სამკითხველო ასეთი საქმიანობის, რა თქმა უნდა, საჭიროა აღმოუჩინდეს სოფელს მეთაური, თაოსანი, რომ საქმეს თავი მოაბას, შეაგ-

ნების, დაარწმუნოს, რომ ჟურნალ-გაზეთები და სამკითხველო გაცემებით მეტ სარგებლობას მოუტანს სოფელს, ვიდრე უბრალო სმა-ქეიფი. იმედია, კვლავ მაინც ჯუნჯვათლები მიბაძვენ სხვა სოფლებს, გამოიწერენ ჟურნალ-გაზეთებს, დაარსებენ სამკითხველოს და ხელს მიყოფენ სხვა კულტურულ საქმეებს.

ა. ჯუნჯვათელი.

### ღვთისმშობლის ცრემლები.

ამ ღვთისმშობლის მცხეთიდან ორი წერილი მივიღეთ, ერთი მცხეთის ფოსტალიონის არჩილ ქავთარაძისაგან და მეორე მცხეთის დედათა მონასტრის მონაზონის ქრისტინასაგან, რომლებსაც უცვლელად ვბეჭდავთ. ბ. ქავთარაძე იწერება: „აქ 23 ივლისში დიდი სასწაული მოხდა. სვეტიცხოვლის სამთავროს დედათა მონასტერში ივერიის ღვთისმშობელი ასვენია, ამ ღვთისმშობელმა დაიწყო ტირილი მარცხენა თვალიდგან, ცრემლი გადმოდიოდა წვეთ-წვეთი. 23-ში დილით ხუთი საათიდან დაიწყო ტირილი, შუადღემდინ ძალიან შეწუხებული სახე ჰქონდა ტარილის დროსა, მე თითონ ვნახე. ეხლა გამხმარი ცრემლი ეტყობა, დეკემა იყო გაგზავნილი ეპისკოპოსთან. იმ დღეს დიდი პარაკლისები გადახადეს. ეს მხეცი ხალხი უყურებდა ამ სასწაულსა და კიდენ არ იჯერებდა“.

ქ. ქრისტინას წერილი შემდეგს გვიამბობს: „ისეთი სასწაული მოახთინა ჩვენმა ახალმა ივერიის ღვთისმშობლის ხატმა 24 მკათათვეს, რომ ყველა თავზარდაცემული დაერჩით, დილით ჩვეულებისამებრ ცისკარი იყო და რომ ჩავედი საყდარში, ვნახეთ, რომ მარცხენა თვალიდგან ცრემლი ჩამოსდიოდა და სახეც შეტისმეტი დაღვრემილი ჰქონდა. ამ სანახავემ დიდათ შეგვაშინა, შეუთვალეთ მღვდელს მონათვე, მოვიდა და თელი დღე პარაკლისი და დაუჯდომელი არ გაწყვეტილა, მაგრამ ისე-

თა ვოდება იყო საწყალი მნახველებისაგან, რომ მეორეთ მოსვლის ნიშანი იყო. დიდ ძალი ხალხი მოვიდა და უყურებდენ. დილის ხუთი საათიდან დაწყებული საღამოს ცხრა საათამდის არ გამშრალა ცრემლები. ამას ბევრი ამბები მოჰყუა, მაგრამ ამას შემდეგ გვიამბობთ“.

ამნაირათ, როგორც სჩანს, ეს საკვირველი ამბავი 23 თუ 24 მკათათვეს მომხდარა და დღემდის ქვეყანას არაფერი გაუგია, გაზეთებში არაფერი გამოცხადებულა. რა არის ამისი მიზეზი? უთუოდ შიში, ჩამორჩენილობა და ცრუმორწმუნოება არაეინ დაგვწამოსო. რა თქმა უნდა სიფრთხილით თავი არ ასტკივა, მაგრამ თუ ყოველი მხრით სარწმუნო შეიქმნა, რომ ხატმა ტირილი დაიწყო, რა უშლიდა, რომ ეს საკვირველება არ გამომეღვენებულა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ღვთისმშობელი, რომლის წილხდომილ მხარეს შეადგენს ივერია, სტირის და ვოდებს საქართველოს ეკლესიის დამკირებას, სარწმუნოების დაცემას, სასოების წარკვეთას, ათასნაირ პარტიათა ურთიერთშორის განხეთქილებას, რომელსაც ბოლო არ უჩანს, და ათას სხვა ამისანა უბედურებას, რომელიც დღეს თავს დასტეხია საქართველოს. ამიტომ ჩვენ სრულებითაც არ გავიკვირდებთ, რომ ჩვენში ამაზე მეტი სასწაულიც მოხდეს. დადგა დრო, როცა საჭირო შეიქნა განგების ცხოველი და თვალსაჩინო ჩარევა ადამიანთა ცხოვრებაში და განსაკუთრებით ქართველებისაში.

ბერი.

### იმერეთის სამრევლო

#### შკოლების ავ-კარგი.

ჩვენი სამრევლო შკოლების მასწავლებელთა მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. ყველგან, ყოველ დაწესებულებაში განახლება-გაუმჯობესება ეტყობა; ჩვენი დაწესებულების წინმსვლელობას არა ეშველა რა. რაც დრო გადის მით უფრო უკან მსვლელობის გზას ადგია.

ჩვენი მასწავლებლობა განიცდის როგორც გონიერულს, ისეთ ნივთიერ გაქივრებებს, რა-

საკვირველია, უმაღლესი სასულიეროების წყალობით და მათი მონა-მორჩილების. მათ მოსწონთ უფიცნი, რადგანაც ისინი მათ ყოფაქცევას ანგარიშს ვერ აძლევენ.

საკმარისია ადამიანმა დაასრულოს მეორეკლასიანი სამრევლო სასწავლებელი, და აქვს თუ არა მას ხალხისადმი სიყვარული, აქვს თუ არ მას ბრძოლის ხალისი სიბნელის წინააღმდეგ-სოფლად განათლების შეტანის, სულ ერთია; გააკრავენ შუბზე მოვერცხლილ კაკარდებს, ფოლაქებს, ამოუდებენ ილიაში ვოსტოროვის<sup>1)</sup> მიერ შექმნილ სამოსწავლო გეგმას და გაამწესებენ სოფლის „გასანათლებლად“ მორჩა და მოისვენა!

გასაკვირია: როგორ უნდა შესძლოს ერთმა ადამიანმა სამ განყოფილებასთან მაცადინობა, ისეც ვოსტოროვის სამოსწავლო გეგმით; ამაზე არავინ იტყვივებს თავს, შკოლა მხოლოდ გაიხსნება და მასწავლებელი გამწესდება.

სამინისტრო უწყების მასწავლებელთა მდგომარეობა ბევრად განირჩევა ჩვენსაზე. მათ ყოველ ზაფხულობით აქვთ გამართული სამასწავლებლო კურსები, სადაც მცოდნენი მათ უხსნიან: პეტაგოგიკას, დიდაქტიკას, მეთოდის და სხ. ნივთიერი მხრითაც ყველანი დაკმაყოფილებული არიან; თითოეულ მასწავლებელს თვეში ეძლევა არა ნაკლებ 30 მანეთი. ჩვენ კი ამებს ყველას მოკლებული ვართ. ჩვენ უმეტესობას, არა გვაქ საშუალება, რომ ნახევრად მაინც დავიკმაყოფილოდ უსაჭიროესი მოთხოვნებიანი; ჩვენი ჯამაგირები არ აღემატება (მხედველობაში მიიღეთ უმეტესობა) 19—20 მანეთს; არიან თუმნიანი მასწავლებლებიც; არიან ისეთებიც, რომლებიც 3—4 წელს მსახურებენ უსასყიდლოთ, იმ იმედით, რომ ახლო მომავალში მაინც დაუნისვენენ ჯამაგირს, მაგრამ სასტიკად სტყუვდებიან: გამოჩდება თუ არა ჯამაგირიანი ადგილი საბჭოს რომელიმე წევრს ეყოლება ნათესავი. ან კიდევ „უფრო“ ვინმე და დანარჩენი წევრთა დახმარებით გაამწესებს,

<sup>1)</sup> ვოსტოროვის მიერ შექმნილი სამოსწავლო გეგმა გარუსების პოლიტიკას ემსახურება

მაშინ, როდესაც უწყებაში მსახურებენ უჯამაგიროდ მასწავლებლები. სამართლიანობაც ესეთი უნდა!

უფრო აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოში მსახურებენ ისეთი პირები, რომლებმაც ქვეყანა გააყრუეს, ვითომც დიდი საზოგადო მოღვაწენი და მოამაგენი იყვნენ, მაგრამ ვოსტოროვის მიერ შექმნილ სამოსწავლო გეგმის წინააღმდეგ, რომელიც გარუსების პოლიტიკას აწარმოებს და უნდა მოგვესპოს სამშობლო ენა. ხმა ვერ აღიმადლეს, ლაჩრულად დაემორჩილენ და მიიღენ\*).

ყველა ზემოთ მოხსენებული მიზეზები, რასაკვირველია, ხელს უწყობს ჩვენი შკოლების შეფერხება-განადგურებას; საჭიროა, სერიოზულად საქმის ხელის მოკიდება ვისაც გული შესტკივა, საჭიროა მოისპოს ყველა ის მიზეზები, რომლებმაც ესეთი არა სასურველი შედეგი წარმოშობა და მდგომარეობა განახლებდა-გაუმჯობესდება.

„მასწავლებლობა“

პასუხად კაზ. „განთიადის“ მექრინიკეს.

გაზეთის განთიადის „24 ნომრის ახალ ამბებში გამოქვეყნებულია მცხოვრების ქ. ქუთაისში ბ. ალექსი დვისაძის ქველმოქმედება და საჩივრით წინააღმდეგობა ადგილობრივი სამრევლო შკოლის გამგის მღვდლის ისიდორე ეოროლიანის მიერ. საქმე შეეხება ქვემო მაკლასის ახალ გახსნილ სამინისტრო შკოლას. ამ ამბის გამოქვეყნებას გაზეთში დიდათ სასიამოვნოთ ვთვლი, რადგან შემთხვევა მეძლევა სიმართლე აღვადგინო: ს. ქვემო მაკლასში ოქონის მაკხოვრის ეკლესიაზე 1872 წლიდან არის დაარსებული სამრევლო შკოლა. აქ დღემდე გაუწყვეტელია სწავლა. ბევრს გარეშე საზოგადოებისგანაც მიუღია აქ სწავლა, და დღეს ეს შკოლა ორ კომპლექტიანია. როცა ეს შკოლა უკვე აღარ აკმაყოფილებდა ყველა მთხოვნელებს, ამავე სოფელში მეორე შტატის წმიდის

\*) ასეთ კითხვაზე სამოსწავლო მთავრობა უპასუხებს: „ვისაც არ სურს მიბძანდი, სხვები იხვეწებიან.“

გიორგის ეკლესიაზე გაიხსნა მეორე სამრევლო შკოლა 1900 წლიდან. 1911 წლიდან ბ. ალექსი დეისაძემ განიძრაბა სამინისტრო შკოლის დაარსება ამავე სოფელში. ამ მიზნით მან თვისი ბიძაშვილისგან აყიდვინა მთავარ ანგელოზის ეკლესიის მრევლს ქცევა ნახევარი მიწა სოფლის განაპირას 400 მ. და როცა მრევლმა ვერ შეძლო ამ ფულების გადახდა, ნებაყოფლობით შეწირულებას მიმართა და მით გამოიყიდა ხსენებული ადგილი. შემდეგ შეუდგენ შენობის კეთებას, მასალათ ხმარობდნ ბ. დეისაძის ქ. ქუთაისში დამწვარი სახლის ნაშთს ცოტა რამის დამატებით. ამასთან ყოველივე მასალის მოტანა და ზოგიერთის მოპოვებაც (სილა, რიყე და სხვა) ხალხს დაავალა. შვი მუშაც სოფლის იყო. ამის შემდეგ არ ვიცი რა უნდა დაემადლოს ხალხს ბ. დეისაძისგან და რა შესწირა უკანასკნელმა მას! დაპირებისამებრ შკოლის შენობა თლად დეისაძეს უნდა გაეკეთებია თავისი ხარჯით ხალხის დაუხმარებლად. ეს სჩანს ქუთაისის სახალხო შკოლების დირექტორის 2 მაისის 1911 წლის 3053 ნუმრით ქუთაისის მაზრის უფროსისადმი მიწერილობიდან. Гражданинъ гор. Кутаиса, бывший житель сел. Квед-Маглаки, Алексѣй Бежановъ Дейсадзе по ходатайству котораго открыта въ названномъ селѣ школа, пожертвовалъ въ пользу этой школы дворовый участокъ земли пространствомъ 1350 кв. саж. съ обязательствомъ построить на немъ на свои средства безъ помощи общества и казны зданіе для школы.

როდესაც ხსენებულ ადგილას დაიწყეს შენობა, თანახმად ხალხის თხოვნისა, ადგილობრივი მამასახლისი მივიდა ადგილობ მუშაობის შესაჩერებლად, ვინაიდან ხალხს არ სურდა დაუმხრობებლ ადგილას აღშენება შკოლისა. ბ. ალექსი დეისაძემ პასუხი მისცა მამასახლისის 28 აპრილს 1911 წ. მეჩემს ადგილში ვაშენებ ჩემს სახლს და ვის რა უნდაო, ეს ასე ინება დეისაძემ მისთვის, რომ შკოლა ყოფილიყო არა თუ მთელ ქვემო მალაქელელებისათვის, არამედ მისი მეზობლები-

სა და მთავარანგელოზის მრევლისათვის. შემდეგ სამინისტრო შკოლის გულშემატკივრებმა ხელი მიყვეს ყრილობის განაჩენის შეძენას შკოლის გახნის თაობაზედ. სურდათ მთელი ქვემო მალაქი ჩაეთრიათ „პრიგოვორში“, რომელიც შესდგება 415 კომლისაგან. ამგვარ განაჩენის შედგენა მიენდო იმავე სამინისტრო შკოლის მასწავლებელს მ. ფაჩვაშვილს. ბ. მასწავლებელმა ფაჩვაშვილმა თავის ნათლიამის და ახლობელ ნათესავის, იმ დროის შკოფი მამასახლისის პ. ფაჩვაშვილის შემწეობით 6 ნოემბრიდან 1912 წლ. შეუდგა მინდობილი საქმის განხორციელებას. ჯერ სასოფლო განაჩენის ჩასწერად წიგნი შკოლაში მიიტანეს, მთელ ორ კვირას შკოლაში ჰქონდათ. აწერი-ნებდნ ხალხს ხელს ძალაუფებურად, და ზოგს გაუგებრად, მაგრამ მიზანს ვერ მიახწიეს, რომ ხალხის განაჩენი კანონიერი რიტხვით შეეხსათ. მეტი ღონე აღარ იყო, ხელი პოდლოგებისათვის უნდა მიეყოთ, ზოგიერთი პირი ორჯერ ჩასწერეს, ოჯახიდან რაოდენიმე წევრი ჩაიტანეს, ეს რომ არ ეყოთ მცირე წლოვანებიც არ დაზოგეს და ამგვარი შეფაფული „პრიგოვორი“ წარადგინეს სადაც ჯერ იყო, მაგრამ განაჩენი მაინც არ შეიქნა კანონიერი. გავიდა დრო. 20 დეკემბერს 1912 წელს მალაქის საზოგადოების კანცელარიაზე შესდგა მთელი საზოგადოების გლეხთა ყრილობა მოხელე პირთა ასარჩევით, აქ დაესწრო ადგილობრივი პოლიციის ბოქაულიც, მაშინ იღროვა ბ. მასწავლებელმა ფაჩვაშვილმა, განაზრახა რაოდენიმე შკოლის მახლობლად მცხოვრები და განუცხადა ხალხს: „მალაქის სამინისტრო შკოლის სქირდება მესამე მასწავლებელი, ეხლა გაუქმდა ზემო მხარეში ერთი სამინისტრო შკოლა, ამ შემთხვევით თავისუფალია ხაზინიდან ერთი მასწავლებლის ჯამაგირი; გთხოვთ მომიწეროთ ხელი განაჩენზე და მესამე მასწავლებლის ჯამაგირს მოგვეცემენო“. ნუ იტყუებით, ბატონებო, განაჩენი სულ სხვა საგანზე ქონია დაწერილი ბ. მასწავლებელს; დაუწერია, რომ ქვემო მალაქში მცხოვრები გლეხნი ვალდებული ვართ, ყოველ წელიწადს ვიხადოთ ქვემო მალაქის სამინისტრო შკოლის სასარგებლოდ ორას ორმოცდა ათი მანეთიო. ამ დღეს განაჩენზე ოკამდე კაცმა მოაწერა ხელი. შემდეგ რა მოხდა არ ვიცი, მხოლოდ მ მარტს 1913 წელს, როდესაც ხალხს მიაღწევ მათრახის ცემით სამინისტრო შკოლის სასარგებლოდ ფულების ასაკრფათ და სამსამი აბაზი გადაახ-

დეინეს კომლს, ორასმა კაცმა იმავე დღეს აირჩიეს სამი ვეჭილი და გუბერნატორს მიართვეს თხოვნა რომელიც ბოქაულს გარდაეცა გამოსარკვევად. ბოქაულმა გამოარკვია საქმე გარეგნულად, რაზედაც უკმაყოფილონი დარჩენ ვეჭილნი და ხელახალი გამოძიება სთხოვეს „გუბერნსკი სამმართველოს“, რაც უკვე მინდობილი აქვს მაზრის უფროსის თანაშემწეს. ამ ისტორიულ განაჩენზე, ხელი უწერია 288 პირს, დამოწმებულია ერთი თვის შემდეგ აღნიშნული მასწავლებლის ნათესავის და ნათლის-მამის მამასახლისის ბ. ფაჩავილისაგან. ეს 288 ხელმოწერილი კომლთა რიცხვი ასე შემდგარა: ერთი ოჯახიდან ჩაწერილია ორი, სამი პირი 15, ერთი და იგივე კაცი ორჯერ არის ხელმოწერილი და ასეთი შემთხვევა სულ 40-ია. სხვა წოდების პირნი 3, მცირე წლოვანი 4, რომლებიც სულ ქვემო მაღლაკში არ იმყოფებიან 4- ისეთები, რომლებიც 20 დეკენბერს სრულებით არ დასწრებიან ყრილობას 15, წერა რომ იციან და მათ მაგიერ სხვა აწერს ხელს 6 და სულ 87. აი ასეთი ყალბი განაჩენის ძალით დაედგათ ქვემო მაღლაკელებს სამინისტრო შკოლის სასარგებლოდ წლიური გარდასახადი 250 მ. და ამით გამოეთხარა ძირი ორი სამრევლო ქვემო მაღლაკის შკოლას; რადგან ხალხს არ შეუძლია ორი შკოლა შეინახოს, ამიტომ სადაც ფულს გარდობდის, ძალა-უნებურად შევიდოც იქ უნდა გაბაროს. გაზეთში ნათქვამია ადგილობრივი შკოლის გამგე მ. ისიდორე ეორჯოლიანი სამინისტრო შკოლის წინააღმდეგ გაილაშქრა და ათას გვარი საჩივრით სურს საზოგადოებაშიდ არეც დარევა შეიტანოს და სამინისტრო შკოლას ძირი გამოეთხაროსო.

მე ძრიელ მაკვირვებს ასეთი უაზრო მსჯელობა. რა უნდა შექნა მე, როგორც გამგეს, გეკითხებით, როცა 1911 წელს ათასნაირი ბრიყვებით ორმოცამდე მოსწავლე გამომაცოლეს შკილიდგან, და დროებით გახსნილ სამინისტრო შკოლაში ამოაყოფინეს თავი! რა უნდა შექნა? არ მეცნობებია კუთვნილობისამებრ? დიან მოვახსენე ეპარქიის მეთვალყურეს და განუცხადე საბჭოს, მაგრამ ამით რა დააკლდა სამინისტრო შკოლას? სრულებით არაფერი და მე, რომ ასე არ მოვექცეულეყავი დამიმაღლებდა ჩემი პირდაპირი მთავრობა? ან რა სამქინოა, მითხარით, კიდევ სამინისტრო შკოლის ჩაჩიბრვა იქ, სადაც ორი სამრევლო შკოლა არსებობს, რომლებითაც ხალხი სრული კმაყოფილია! უმჯობესი არ იყო ეს შკოლა იქ გაეხსნათ, სადაც საჭიროება მოითხოვდა? მაგრამ აქ განძრახვა სულ სხვა იყო, სახელდობრ ის, რომ სამრევლო შკოლებს ძირი გამოთხროდა და სული დაეღიათ... საკვირველია, როცა სამინისტრო შკოლის მომხრენი ილაშქრებენ სამრევლო შკოლების წინააღმდეგ, ეს თითქო ვაჟაკობათ მიანიხიან და ტაშს უკრავენ, ხოლო, როცა არსებული სამრევლო შკოლების გამგეები წინააღმდეგობას უწევენ სხვა ტიპის შკოლას, დიდ დანაშაულებათ ურაცხვენ და ზიზღს უცხადებენ, ჩვენი ფიქრით უნჯობესი იქნებოდა ყალბი პრიგოვორით ხალხი არ დაეებგრაო და ნება მიეცათ ყველას თავთავის შკოლით ესარგებლა, სამინისტრო შკოლის გახსნა კი იმისთვის მიენდოთ, ვისაც ეჭირვებოდა. განა აქედან არ სჩანს ვის ნდომია საქმის არეც დარევა?...

მ. ისიდორე ეორჯოლიანი.

**1-е заочные кулинарные курсы.**

Полный курс лекций для самообучения „скромный и простой, стол“, около 100 рецептов кушаний, выпечки, паштетов, варений, сладких блюд, пирогов и друг. Служит 300 стр. убористого шриф. Цѣна съ перес. наложд. плат. 2 р. 60 к. **НАСТАВЛЕНИЕ**, какъ правильно вести домашнее хозяйство и приготовить экономическіе, вкусные и питательные блюда съ приложениемъ рецептовъ мяса и украшенія стола в бѣлый около 100 стр. съ рисунками. Цѣна 1 р. 20 к. Обѣ книги изданы 3 р. 35 к. (можно марки).

Съ заказами обращаться исключительно къ Я. К. ПЕТЕРСУ. С.-Петербургъ, Вост. стор., Большой пр. № 561—62

**40 ДНЕЙ**

**!!! БЕЗПЛАТНО !!!**

Если Вы въ течение 40 дней не изучите свободно говорить, читать, и писать по нѣмецки, французски, англійски и латински по нашимъ самоучителямъ, составлен. по новейшему методу (въ другіе — реклама), деньги возвращаемъ обратно. Цѣна самоучителя одного языка съ перес. наложен. плат. 1 р. 10 к., 2-хъ — 1 р. 80 к., 3-хъ — 2 р. 80 к., 4-хъ — 3 р. 65 к., Заказы исполн. след. съязать для всей Россіи. С.-Петербургъ, Петербург. стор. Большой пр. № 56—567 И. К. ПЕТЕРСЪ.

Печатать разрешено. Типография „Братство“, Казаков. ул. № 17.

რედაქტორი მღვდ. სიმონ ავალიძე. გამომცემელი ი. ლეჟავა.